საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში

2023 წელი

წინასიტყვაობა

უკრაინაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებმა 2023 წელს დამატებითი გამოწვევები შეუქმნა ისედაც რთულ რეგიონული უსაფრთხოების გარემოს, გლობალური მასშტაბით შეაფერხა ქვეყნების მდგრადი და სტაბილური განვითარება, გაზარდა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისების შენარჩუნებისა და გაღრმავების ალბათობა.

არსებული გეოპოლიტიკური კრიზისისა და საქართველოს მიმართ გაზრდილი საფრთხეების პირობებში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ქვეყანაში უსაფრთხო, სტაბილური და მშვიდობიანი გარემოს შესანარჩუნებლად აქტიურ, კომპლექსურ და სხვადასხვა უწყებასთან კოორდინირებულ ღონისძიებებს ატარებდა.

ანგარიშში წარმოგიდგენთ 2023 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გამოვლენილი საფრთხეებისა და გამოწვევების საპასუხოდ, მათი პრევენციისა და აღკვეთის მიზნით, გატარებული ღონისძიებების მიმოხილვას.

საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის ძირითად საფრთხეს კვლავ რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაცია წარმოადგენს. 2023 წელს ოკუპირებულ რეგიონებში ხორციელდებოდა ანექსიისკენ მიმართული პოლიტიკა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე კვლავ გრძელდებოდა საოკუპაციო ძალების უკანონო სამხედრო წვრთნები, საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავებები, ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი და სხვა დესტრუქციული აქტივობები.

საანგარიშო პერიოდში გამოწვევად რჩებოდა ე.წ. ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტების გამოყენებით უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების საქმიანობა, საქართველოზე ზეგავლენის ბერკეტების მოპოვებისა და ქვეყანაში მათ ინტერესებში შემავალი პროცესების ინიცირების მიზნით. კვლავ აქტუალური იყო საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული კამპანიების წარმოება, მათ შორის საქართველოს საერთაშორისო იმიჯის დაზიანების მიზნით.

ასევე, ადგილი ჰქონდა სხვადასხვა შიდა და გარე აქტორების მიერ საქართველოში პოლიტიკური ვითარების გამწვავებისა და ხელისუფლების ძალადობრივი გზით ცვლილებისთვის ნიადაგის მომზადებისა და რესურსების მობილიზების მცდელობებს.

2023 წელს საქართველოს უსაფრთხოების გარემოსთვის გამოწვევად რჩებოდა საერთაშორისო ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმისგან მომდინარე საფრთხეები. თუმცა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შედეგად, საქართველოში არ განხორციელებულა ტერორისტული თავდასხმა და მინიმუმამდე იქნა

დაყვანილი ტერორისტული საქმიანობის დაფინანსებისა და რადიკალური იდეოლოგიის გავრცელების რისკები.

2023 წელს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, მოხერხდა უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა და ცალკეული დესტრუქციული ძალების მიერ ინსპირირებული ქვეყნის ეროვნული ინტერესების დამაზიანებელი ღონისძიებების განეიტრალება, მძიმე გეოპოლიტიკური კრიზისისა და გაზრდილი გამოწვევების ფონზე, ქვეყანაში უსაფრთხო და მშვიდობიანი გარემოს შენარჩუნება.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აგრძელებდა ეფექტიან და მჭიდრო თანამშრომლობას პარტნიორი ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან, მათ შორის ტერორიზმის, კიბერუსაფრთხოებისა და ჰიბრიდული საფრთხეების კუთხით.

საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას, სამსახური მოქმედებდა კანონის უზენაესობის, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის, თანაზომიერების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პრინციპით.

მნიშვნელოვანია უწყების თითოეული თანამშრომლისთვის ღირსეული სამუშაო პირობების შექმნა. ამ მხრივ სამსახურის ძალისხმევა მიმართული იყო ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებისა და მდგრადი განვითარებისკენ. სამსახურის მხრიდან მოსამსახურეები უზრუნველყოფილნი იყვნენ მაღალი სამუშაო სტანდარტებით, შრომის თანაბარი პირობებით და სარგებლობდნენ სათანადო სოციალური პაკეტით.

2023 წელს ქვეყნის წინაშე მნიშვნელოვნად გაზრდილი საფრთხეების გათვალისწინებით, მსურს, უწყების თითოეულ თანამშრომელს მადლობა გადავუხადო საანგარიშო წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოსა და იმ ძალისხმევისთვის, რასაც ისინი ყოველდღიურად იჩენდნენ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში.

გრიგოლ ლილუაშვილი

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების
სამსახურის უფროსი

სარჩევი

ოკუპირებული ტერიტორიები 6

ანექსიისკენ მიმართული პროცესები 6

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესები 9

საოკუპაციო ძალის უკანონო აქტივობები 11

საერთაშორისო მექანიზმები 14

საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა 15

სახელმწიფო უსაფრთხოება და კონტრდაზვერვითი საქმიანობა 16

დეზინფორმაცია და ჰიბრიდული ომის სხვა საფრთხეები 23

დეზინფორმაცია და პროპაგანდა 23

ე.წ. რბილი ძალა და ფარული ოპერაციები 24

კიბერუსაფრთხოება 25

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა 26

საერთაშორისო ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართულებით არსებული ვითარება 26

საქართველოს კონტრტერორისტული ძალისხმევა 29

საქართველოს წინაშე არსებული ტერორისტული საფრთხეები და გამოწვევები 30

საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების მიერ საქართველოში შესაძლო თავდასხმის განხორციელება 31

სირიასა და ერაყში მყოფი, „დაეშისა“ და „ალ-კაიდას“ წევრი საქართველოს მოქალაქეების ქვეყანაში შესაძლო შემოსვლა 32

ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების/უცხოელი ტერორისტი მებრძოლების საქართველოში შესაძლო შემოსვლა, მათ შორის, ქვეყნის ტერიტორიის სატრანზიტო მიზნით გამოყენება 32

საქართველოდან ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის დაფინანსების ან სხვაგვარი დახმარების გაწევის მცდელობა 33

ტერორისტული ორგანიზაციების წევრების/მხარდამჭერების მიერ საქართველოში მყოფი მოქალაქეების ტერორიზმში შესაძლო გადაბირება 33

სისხლის სამართლის საქმეები 34

საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია 34

სპეციალური ოპერაციების ძალები 34

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა 35

სამართლებრივი ბაზის განვითარება და სასამართლოებთან ურთიერთობა 37

ანგარიშვალდებულება, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 39

ანგარიშვალდებულება 39

პერსონალურ მონაცემთა დაცვა 42

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 43
საერთაშორისო თანამშრომლობა და უწყებათაშორისი კოორდინაცია 44
საერთაშორისო თანამშრომლობა 44
უწყებათაშორისი თანამშრომლობა და კოორდინაცია 48
მდგრადობა და ინსტიტუციური განვითარება 50
ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება 50
სასწავლო ცენტრი 51
მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები 52

ოკუპირებული ტერიტორიები

2023 წელს საქართველოს სახელმწიფოსთვის ეროვნული უსაფრთხოების კუთხით, ყველაზე დიდ საფრთხეს კვლავ რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების ოკუპაცია და მისი თანმდევი პროცესები წარმოადგენდა.

რუსეთ-უკრაინის ომის მიუხედავად, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონოდ განთავსებული რუსეთის საოკუპაციო ძალა, გასული წლების მსგავსად, კვლავ აქტიურად ახორციელებდა უკანონო სამხედრო აქტივობებს, მათ შორის უკანონო სამხედრო წვრთნებსა და პირადი შემადგენლობის როტაციას.

საანგარიშო პერიოდში რუსეთი აწარმოებდა ანექსიისკენ მიმართულ პროცესს, რაც რამდენიმე მიმართულებით გამოვლინდა. იმავდროულად საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ აქტიურად მიმდინარეობდა ოკუპაციის, როგორც ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტის გამოყენება. საოკუპაციო ძალისა და რეჟიმების წარმომადგენლების მიერ გრძელდებოდა უკანონო დაკავებები, ე.წ. ბორდერიზაციის უკანონო პროცესი და უსაფრთხოების გარემოს დამაზიანებელი სხვა აქტივობები.

რუსეთის ფედერაციის სამხრეთ სამხედრო ოლქის მე-7 და მე-4 სამხედრო ბაზების პირადი შემადგენლობის ნაწილი ჩართული იყო რუსეთ-უკრაინის ომში. ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღნიშნული დანაყოფებისთვის სხვადასხვა მასშტაბის ათეულობით სამხედრო სწავლება ჩატარდა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთ-უკრაინის ომში საოკუპაციო ძალა აქტიურად იყენებდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ ე.წ. მოხალისეებსაც. უკრაინის ანექსირებულ რეგიონებში ფიქსირდებოდა საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან სხვადასხვა ფორმით დახმარების გაწევის ფაქტები, ასევე საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლების ვიზიტები.

ანექსიისკენ მიმართული პროცესები

2023 წელს კიდევ უფრო ნათელი გახდა, ანექსიური პოლიტიკის ფარგლებში, რუსეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ოკუპირებულ ბიჭვინთაში არსებული ე.წ. სახელმწიფო აგარაკის რუსეთის საკუთრებაში გადაცემის ფაქტი. აღნიშნული პროცესი 2022 წელს დაიწყო, რასაც თავდაპირველად ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრები საზოგადოების მხრიდან დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა. თუმცა, 2023 წლის ბოლოს გადაცემის პროცესს „ოპოზიციის ლიდერების“ დიდმა ნაწილმაც კი მხარი დაუჭირა.

ბიჭვინთის აგარაკის გადაცემას რუსეთისთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. აღნიშნული პროცესის რუსეთის სასარგებლოდ დასრულებით მოსკოვმა

დემონსტრირება მოახდინა, რომ მისი ინტერესების წინააღმდეგ ნებისმიერი პროტესტი უშედეგოა.

მოსახლეობაში გაჩენილი უკმაყოფილების მინიმიზებისთვის საოკუპაციო ძალა მუდმივად ცდილობდა წარმოჩენას, თითქოს ე.წ. სახელმწიფო აგარაკის გასხვისების შესახებ ე.წ. შეთანხმებაზე უარის თქმა პირდაპირ უკავშირდებოდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ინტერესებს და რუსეთთან ოკუპირებული აფხაზეთის „ურთიერთობას" დააზიანებდა.

ოკუპირებულ რეგიონში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას ხშირ შემთხვევაში წინ უძღოდა საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლების შეხვედრა რუსეთის მთავრობის წევრებთან. მათ შორის, 2023 წლის 4 ოქტომბერს რუსეთის პრეზიდენტისა და ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის შეხვედრის პარალელურად, გავრცელდა განცხადება ოკუპირებულ ოჩამჩირის რაიონში რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ფლოტის „მუდმივი ბაზირების პუნქტის" შექმნის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ოკუპირებულ ოჩამჩირეში სამხედრო პორტის აშენების შემთხვევაში, რუსეთი ოკუპირებულ აფხაზეთს შავი ზღვის სამხედრო-სტრატეგიული კონტროლისთვის დამატებით ბერკეტად გამოიყენებს.

გასათვალისწინებელია, რომ ოკუპირებული ოჩამჩირის პორტის აკვატორიის სიმცირისა და რთული ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გამო, მოცემულ ეტაპზე იქ რუსეთის სამხედრო ფლოტის მსხვილგაბარიტიანი საბრძოლო ხომალდების დისლოცირება/მათი მომსახურება ნაკლებად სავარაუდოა.

ამასთან, საანგარიშო წელს ოკუპირებული ოჩამჩირის „პორტში" და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება არ დაფიქსირებულა.

აღსანიშნავია რუსეთსა და აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმს შორის ხელმოწერილი ე.წ. შეთანხმება ოკუპირებული ქ. სოხუმის აეროპორტის აღდგენასთან დაკავშირებით.

სოხუმის აეროპორტის აღდგენის საკითხი საოკუპაციო ძალის ანექსიური პოლიტიკის ფარგლებში უნდა იქნეს განხილული, ვინაიდან, მაღალი ალბათობით, აეროპორტის მართვის უფლება დიდწილად რუსეთის ფედერაციის ხელში იქნება. აღნიშნული კი რუსეთისთვის დამატებითი ბერკეტი გახდება რეგიონში მისი პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციების გაძლიერებისთვის.

ანექსიის პოლიტიკას ემსახურება ოკუპირებულ აფხაზეთში „აპარტ-ოტელებისა და აპარტამენტების სამართლებრივი სტატუსის რეგულირების შესახებ" ე.წ. კანონპროექტის შემუშავება, რომელიც დასამტკიცებლად 2023 წლის ივლისში ე.წ. პარლამენტში წარადგინეს. „დოკუმენტის" თანახმად, ოკუპირებულ აფხაზეთში, დაახლოებით, 30 ათასი აპარტამენტი უნდა აშენდეს, რომელთა ფლობის უფლება, მათ შორის, „უცხო ქვეყნის

მოქალაქეს“ ექნება. აღნიშნულს ე.წ. ოპოზიციური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები, „სამოქალაქო აქტივისტები“ და მოსახლეობის გარკვეული ნაწილი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ, რადგან მას „დემოგრაფიისა“ და „სუვერენიტეტისთვის“ საფრთხის შემცველად მიიჩნევდნენ.

„კანონპროექტი“ ანექსიური პოლიტიკის ინსტრუმენტია, ვინაიდან ხსენებულით შესაძლებელი გახდება რუსეთის მოქალაქეების მიერ ოკუპირებულ რეგიონში უძრავი ქონების შეძენა და მნიშვნელოვანი დემოგრაფიული დისბალანსის შექმნა.

ამ კონტექსტში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლების განმავლობაში მოსკოვი მუდმივად სთხოვდა ოკუპირებულ აფხაზეთს შეეცვალა „რეგულაცია“, რომელიც კრძალავდა „უცხო ქვეყნის მოქალაქის“ მიერ უძრავი ქონების შეძენას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რუსეთის ფედერაციასა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის „ორმაგი მოქალაქეობის“ შესახებ ე.წ. შეთანხმების რატიფიცირება, რაც რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღებას ითვალისწინებს. ასევე, 2023 წლის 15 მარტს, რუსეთის ფედერაციის საბჭომ ოკუპირებულ რეგიონთან „ეკონომიკურ საქმეებში სასამართლო და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების“ შესახებ ე.წ. შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა. იმავდროულად მიმდინარეობდა მუშაობა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფსოუს მონაკვეთის გადაკვეთის პროცედურის გამარტივებისა და ე.წ. კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიმართულებით.

ანექსიისკენ მიმართული პოლიტიკის ფარგლებში, რუსეთი ოკუპირებული რეგიონების რუსიფიკაციის პოლიტიკას ატარებდა და ამ მიზნით სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტს იყენებდა. აღნიშნულის ნათელი გამოვლინებაა, ოკუპირებული გალისა და ახალგორის რაიონებში, რუსული უნივერსიტეტის მეშვეობით, იდენტური ე.წ. საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება. არსებული ინფორმაციით, ე.წ. ღია განათლების ცენტრებში მასწავლებლებს, სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს რუსულ ენასა და მის ეფექტურად გამოყენების მექანიზმებს შეასწავლიან. საგულისხმოა, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში, აღნიშნულის პარალელურად, 2023 წელს რუსეთის ისტორიული საზოგადოების „განყოფილება“ გაიხსნა, რომლის ფარგლებშიც ისტორიაზე აფხაზი და რუსი ისტორიკოსები ერთობლივად იმუშავებენ. ხაზგასასმელია, რომ რუსეთის ისტორიული საზოგადოების თავმჯდომარეა რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის დირექტორი.

რუსული ენის შემსწავლელი კურსებითა და ისტორიულ დოკუმენტებზე მუშაობით, რუსეთის საოკუპაციო ძალა მიზნად ისახავს დეზინფორმაციის გავრცელებას, საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ერთმანეთთან მაქსიმალურად გაუცხოებას და ოკუპირებული გალისა და ახალგორის რაიონების მოსახლეობის ქართული სოციალურ-კულტურული სივრცისგან მოწყვეტას.

მნიშვნელოვან საფრთხედ რჩებოდა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ანექსიის საკითხი, რადგან, რუსეთის მითითებით, ოკუპირებული რეგიონის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის თემა გარკვეული პერიოდულობით კვლავ აქტიურდებოდა. კერძოდ, ე.წ. პრეზიდენტმა **ალან გაგლოევმა** განაცხადა, რომ ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა რუსეთის მოქალაქეა და თავს რუსეთის „ნაწილად" მიიჩნევს. ე.წ. პარტია „ერთიანმა ოსეთმა" „ინტეგრაციის" საკითხი რუსეთის დუმასა და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრებზე დააყენა. ასევე, რუსეთ-უკრაინის ომში მონაწილე ე.წ. მოხალისეებმა, რუსეთის პრეზიდენტს ცხინვალის რეგიონის რუსეთის შემადგენლობაში მიღება სთხოვეს.

საანგარიშო პერიოდში შეინიშნებოდა რუსეთის საოკუპაციო ძალის მიერ ე.წ. აღმოსავლეთ ოსეთის ცნების დამკვიდრების მიზანმიმართული მცდელობა, რაც მიზნად ისახავდა თრუსოს ხეობის კონფლიქტის ნაწილად ქცევას, ხოლო საქართველოს „აგრესორად" წარმოჩენას, რომელმაც თითქოს „მიიტაცა" ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ტერიტორიები.

2023 წელს განიხილებოდა ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონსა და რუსეთის ფედერაციას შორის ე.წ. საბაჟო გამშვები პუნქტის გამტარუნარიანობის გაზრდისა და საბაჟო გადასახადების მოხსნის საკითხი.

ანექსიის ჭრილშია განსახილველი ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციაზე. გავრცელებული მონაცემებით, 2023 წელს რუსეთისა და ოკუპირებული რეგიონის „ტვირთბრუნვამ" 414,6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რომელიც 2018 წლიდან 70%-ით არის გაზრდილი. ანექსიის კუთხით კვლავ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ოკუპირებული რეგიონების ფინანსური დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციაზე. 2023 წელს ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ბიუჯეტი დაახლოებით 159 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, რომლის დაახლოებით 41% (დაახ. 65 მილიონი აშშ დოლარი) რუსულ ტრანშს წარმოადგენდა. რაც შეეხება ცხინვალის რეგიონს, ე.წ. ბიუჯეტი დაახლოებით 107 მილიონი აშშ დოლარი იყო, რომლის დაახლოებით 78% (დაახ. 83,2 მილიონი აშშ დოლარი) რუსეთის ფედერაციამ დააფინანსა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესები

2023 წელს ოკუპირებულ აფხაზეთში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი „არასამთავრობო ორგანიზაციების" მიმართ მიდგომები მკვეთრად გამკაცრდა. საოკუპაციო რეჟიმი მათ მადისკრედიტებელ განცხადებებს ავრცელებდა, ცენტრალური ხელისუფლების მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში ადანაშაულებდა და „საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში" ჩარევაში სდებდა ბრალს.

2023 წლის დასაწყისში საოკუპაციო რეჟიმმა ოკუპირებულ რეგიონში ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეები არ შეუშვა. აღნიშნულის მიზეზად, რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, თანათავმჯდომარეების ინიციატივით ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების რამდენჯერმე გადადება დაასახელეს.

ასევე, საანგარიშო პერიოდში საოკუპაციო რეჟიმმა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის წესში „ცვლილებები" შეიტანა, რომელიც ორგანიზაციებსა და ე.წ. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელებს შორის ურთიერთობებს მკაცრად აკონტროლებდა. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და გაეროს სააგენტოებს ე.წ. საგარეო უწყებასთან უნდა შეეთანხმებინათ ადგილობრივი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივებისთვის ფინანსური სახსრების გამოყოფის საკითხი.

2023 წლის 7 დეკემბერს საოკუპაციო რეჟიმმა სამხრეთ კავკასიაში USAID-ის რეგიონული ხელმძღვანელი „პერსონა ნონ გრატად" გამოაცხადა. საოკუპაციო რეჟიმის გადაწყვეტილებით, აღარ „მტკიცდებოდა" USAID-ის ნაწილობრივი ან სრული ფინანსური მხარდაჭერით წარმოდგენილი პროექტები. ასევე, შეჩერდა UNDP-ის პროექტების მიღება. იკრძალებოდა იმ პროექტების რეალიზება, რომელთა მიზანს ქართველებსა და აფხაზებს შორის კონტაქტის დამყარება წარმოადგენდა. იზღუდებოდა იმ მედიაპროექტების დაფინანსება, რომლებიც ოკუპირებული აფხაზეთის „შიდა და საგარეო პოლიტიკის" საკითხების გაშუქებას ისახავდა მიზნად.

საოკუპაციო რეჟიმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, ოკუპირებულ რეგიონში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და გაეროს სააგენტოების საქმიანობა მნიშვნელოვნად შეიზღუდა. საერთაშორისო ორგანიზაციების დაბლოკვით, საოკუპაციო რეჟიმი, ოკუპირებულ რეგიონში რუსეთის ფედერაციის გავლენების გაზრდასა და აფხაზებსა და ქართველებს შორის კონტაქტების მინიმუმამდე დაყვანას ცდილობდა.

საგულისხმოა, რომ ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში 2023 წელს რამდენიმე ე.წ. პოლიტიკური პარტია შეიქმნა, რაც მაღალი ალბათობით, 2024 წელს დაგეგმილ ე.წ. საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდებოდა.

ოკუპირებული აფხაზეთისგან განსხვავებით, ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში ე.წ. შიდაპოლიტიკური პროცესები შედარებით ნაკლებად აქტიურად მიმდინარეობდა.

ოკუპირებულ აფხაზეთში ენერგეტიკული კრიზისი, გასული წლების მსგავსად, 2023 წელსაც გრძელდებოდა, რის გამოც მოქმედებდა ელექტროენერგიის მიწოდების მკაცრი გრაფიკი. აღნიშნული უკავშირდებოდა ელექტროენერგიის სფეროში არსებულ დიდ ფინანსურ დავალიანებას, ასევე, კრიპტოვალუტის მაინინგს, ელექტროგადამცემი ქსელების ცვეთას და სხვ. მით უფრო, რომ 2023 წლის ნოემბერში რუსეთმა ოკუპირებული აფხაზეთისთვის ელექტროენერგიის უფასოდ მიწოდება შეწყვიტა.

2023 წლის ბოლოს ოკუპირებული აფხაზეთი ენერგეტიკული კრიზისის პარალელურად საწვავის დეფიციტის წინაშე აღმოჩნდა. საწვავის კრიზისი ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონშიც დაფიქსირდა. დიზელის დეფიციტთან დაკავშირებით არსებული ვითარების განხილვა 2023 წლის სექტემბერში დაიწყო. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ნოემბერში ერთადერთი ე.წ. სახელმწიფო ავტოგასამართი სადგურიც კი დაიხურა.

საანგარიშო პერიოდში ოკუპირებული რეგიონების საოკუპაციო რეჟიმები, რუსეთის ფედერაციის დახმარებით, აქტიურად ცდილობდნენ საერთაშორისო ასპარეზზე „პოზიციონირებას". მუშაობა შეინიშნებოდა სხვადასხვა ქვეყნის მიმართულებით.

საოკუპაციო ძალის უკანონო აქტივობები

საანგარიშო პერიოდში უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარება განსაკუთრებით დამძიმდა და გართულდა 2023 წლის ნოემბერში, როდესაც რუსეთის საოკუპაციო ძალის წარმომადგენელმა/ებმა საოკუპაციო ხაზთან ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობების შედეგად მოკლეს საქართველოს მოქალაქე **თამაზ გინტური.**

სალოცავში ასული შეუიარაღებელი საქართველოს მოქალაქის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტს თან ერთვოდა რამდენიმე საყურადღებო გარემოება. კერძოდ, რუსეთის საოკუპაციო ძალის წარმომადგენლებმა „ცხელი ხაზი" დაგვიანებით გააქტიურეს; შემთხვევის ადგილზე მისულ სამედიცინო დახმარების პერსონალს **თამაზ გინტურთან** მისვლის შესაძლებლობა ერთი საათის დაგვიანებით მისცეს; გაავრცელეს დეზინფორმაცია თითქოს **თამაზ გინტურმა** მათ ცივი იარაღით გაუწია წინააღმდეგობა; აცხადებდნენ, რომ თითქოს დაჭრილი **თამაზ გინტური** ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იქნა გადაყვანილი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად და სხვ.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება საერთაშორისო ფორმატებსა თუ მოლაპარაკების პლატფორმებზე მუდმივად აყენებდა **თამაზ გინტურის** მკვლელობაში დამნაშავე პირის/პირების მიმართ სამართლის დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხს. თუმცა, რუსეთის საოკუპაციო ძალის მიერ გაჟღერებული პოზიციის თანახმად, რუსეთის საოკუპაციო ძალა არ აპირებს მკვლელობის ჩამდენი პირის/პირების დასჯას და სამართლის აღსრულებას.

საანგარიშო პერიოდში ოკუპაციის შედეგად საქართველოს მოქალაქის მკვლელობის კიდევ ერთი ფაქტი დაფიქსირდა. ოკუპირებული ქ. სოხუმის საავადმყოფოში გარდაიცვალა **ვიტალი (თემურ) კარბაია,** ოკუპირებულ გალის „დროებითი მოთავსების იზოლატორში" მიღებული ფიზიკური დაზიანებების გამო.

ზემოაღნიშნულის პარალელურად, საოკუპაციო რეჟიმების უკანონო პატიმრობაში დაღუპული **ირაკლი კვარაცხელიასა** და **დავით ბაშარულის,** ასევე, საოკუპაციო ძალების მიერ მოკლული **არჩილ ტატუნაშვილისა** და **გიგა ოთხოზორიას** საქმეების მიმართ ადგილზე სამართლის აღსრულება კვლავ შეუძლებელი იყო.

არსებული მოცემულობა ოკუპირებულ რეგიონებში დაუსჯელობის სინდრომს ქმნის და ახალისებს დანაშაულებრივ ქმედებებს. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება განაგრძობდა, სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატში, დამნაშავეთა მიმართ სამართლის აღსრულების საკითხის მოთხოვნას.

ამ კუთხით, ხაზგასასმელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის გადაწყვეტილება, რომლითაც **გიგა ოთხოზორიას** მკვლელობის საქმეზე რუსეთის ფედერაციას სიცოცხლის უფლების დარღვევა დაუდგინდა და გარდაცვლილის ოჯახისთვის არამატერიალური ზიანის სახით 130 000 ევროს ოდენობის კომპენსაციის გადახდა დააკისრა. ამავე გადაწყვეტილებით, დადგინდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 38-ე მუხლის (საქმის განხილვა) დარღვევა, რადგან რუსეთმა სასამართლოში შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის მასალები არ წარადგინა.

ასევე, რუსეთის საოკუპაციო ძალების პასუხისმგებლობაზე მიუთითებს სტრასბურგის სასამართლოს 2023 წლის კიდევ ერთი გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა, რომ ოკუპირებულ რეგიონებში ჩადენილ ადამიანის უფლებათა დარღვევებზე სრულად პასუხისმგებელია რუსეთის ფედერაცია, რადგან იგი ოკუპირებულ რეგიონებზე კონტროლს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომამდეც ახორციელებდა.

აგრეთვე, 2023 წლის განჩინებით, სტრასბურგის სასამართლომ სახელმწიფოთაშორისი საჩივარი საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (IV)“ (ე.წ. განგრძობადი ოკუპაციის საქმე) სრულად დასაშვებად გამოაცხადა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოს მოსახლეობის მიმართ ჩადენილ მასობრივ დარღვევებზე პასუხისმგებელია რუსეთი, რადგან განგრძობითად ახორციელებს ეფექტურ კონტროლს ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთზე.

2023 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რუსეთის ფედერაციას 130 მილიონამდე ევროს გადახდის ვალდებულება დააკისრა, 2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად დაზარალებული 24 000-მდე საქართველოს მოქალაქის სასარგებლოდ.

2023 წლის განმავლობაში რუსეთის ფედერაცია ჰიბრიდული ომის სხვადასხვა კომპონენტის, მათ შორის, უკანონო დაკავებების, უკანონო ე.წ. ბორდერიზაციისა და უსაფრთხოების გარემოს დამაზიანებელი სხვა აქტივობების ინსტრუმენტალიზაციით განაგრძობდა საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლას.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონოდ დისლოცირებული რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დანაყოფები განაგრძობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის უკანონოდ დაკავების პრაქტიკას. უმეტეს შემთხვევაში ადგილობრივ მოსახლეობას საოკუპაციო ხაზის ე.წ. უკანონო კვეთისთვის აკავებდნენ, თუმცა დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც უკანონო პატიმრობის გახანგრძლივების მიზნით, აღნიშნულს დამატებით ერთვოდა სხვა გამოგონილი ბრალდებები, რაც საოკუპაციო

ძალის მიერ ე.წ. სისხლის სამართლის საქმეზე „გამოძიების დაწყების“ საფუძვლად გამოიყენებოდა.

საანგარიშო პერიოდში ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით უკანონოდ დააკავეს 37, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით - 26 პირი.

2023 წლის დასასრულს უკანონო პატიმრობაში, საერთო ჯამში, საქართველოს 8 მოქალაქე იმყოფებოდა. უკანონო პატიმრობაში რჩებოდნენ საქართველოს ის მოქალაქეებიც, რომლებსაც თავისუფლება უკანონოდ რამდენიმე წლით აღუკვეთეს, მათ შორის, **ირაკლი ბებუა**, **ქრისტინე თაკალანძე** და **ასმათ თავაძე**. საოკუპაციო ძალა ხანგრძლივი უკანონო დაკავებებით ჰუმანიტარულ კრიზისს ხელოვნურად ქმნიდა და ცდილობდა, აღნიშნული ინსტრუმენტით საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაზე ზეწოლა განეხორციელებინა.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება იყენებდა მის ხელთ არსებულ ყველა ფორმალურ თუ არაფორმალურ ბერკეტს, მათ შორის საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევას, რათა უმოკლეს ვადებში გაეთავისუფლებინა უკანონო პატიმრობაში მყოფი პირები.

2023 წლის განმავლობაში, ცენტრალური ხელისუფლების ძალისხმევის შედეგად, ხანგრძლივი უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლდნენ **კახაბერ ნათაძე** და **მამუკა ჩხიკვაძე.**

თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვისა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაზე ზეწოლის მიზნით, საოკუპაციო ძალა აქტიურად განაგრძობდა უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესს. 2023 წელს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით დაფიქსირდა უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის 39, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით - 3 შემთხვევა.

გაგრძელდა უკანონო აქტივობები: გაივლო ახალი და განახლდა ძველი მავთულხლართები და ღობეები, მოეწყო ე.წ. ხანძარსაწინააღმდეგო ხნულები და მიწათხრილები, უკანონოდ აღიმართა ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები და საგუშაგოები. დაფიქსირდა საოკუპაციო ხაზზე სათვალთვალო კამერებისა და გადაადგილების დეტექტორების დაყენების ფაქტებიც. უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესს თან სდევდა რუსეთის საოკუპაციო ძალის წარმომადგენლების პერიოდული გადაადგილება საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, რისთვისაც აქტიურად ახორციელებდნენ სავალი ბილიკებისა და საავტომობილო გზის მოწყობის უკანონო სამუშაოებს.

საოკუპაციო ძალის მიერ დაწესებული უკანონო შეზღუდვების გამო, ე.წ. გამშვები პუნქტებით სარგებლობის საშუალება ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით, ადგილობრივ მოსახლეობას თვეში მხოლოდ 10 დღის განმავლობაში

ეძლეოდა. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული არ ვრცელდებოდა ოკუპირებული რეგიონის ყველა მცხოვრებზე, დადგენილი წესი მხოლოდ ე.წ. ნებართვის მქონე პირებს ეხებოდა.

ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით საოკუპაციო ძალის მხრიდან საოკუპაციო ხაზზე გადაადგილებაზე გრძელვადიანი შეზღუდვები არ დაწესებულა, თუმცა გადაადგილების თავისუფლების მხრივ ვითარება არსებითად არ გაუმჯობესებულა.

გამოწვევას წარმოადგენდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მიზანმიმართული დისკრიმინაცია. ადგილობრივ მოსახლეობას არ ეძლეოდა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების საშუალება. აქტიურად ტარდებოდა რეგიონების რუსიფიკაციისა და მოსახლეობის ეთნიკური იდენტობის შეცვლის, მათი ასიმილაციისკენ მიმართული პოლიტიკა. კვლავ გრძელდებოდა ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობის ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ქონებრივი უფლებების შეზღუდვა და უკან დაბრუნების გამორიცხვის მიზნით, მათი სახლების განადგურება.

ოკუპირებულ გალთან დაკავშირებით საოკუპაციო რეჟიმმა მიდგომა შეცვალა და ოკუპირებულ რაიონში მცხოვრები მოსახლეობის „ინტეგრაციის" გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნული მიზნით, საოკუპაციო რეჟიმმა იქ მცხოვრები ეთნიკური ქართველებისთვის ე.წ. ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა ხუთი წლიდან ათ წლამდე გაზარდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. პარლამენტმა „სამოქალაქო მდგომარეობის აქტების" შესახებ ე.წ. კანონში ცვლილებები შეიტანა, რომელიც „აფხაზური ეროვნული კუთვნილებისა და გვარის აღდგენის" საკითხებს არეგულირებს. ცვლილებები ოკუპირებული გალის ქართული მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ეთნიკურ აფხაზებად გამოცხადებას ისახავს მიზნად. განისაზღვრა, რომ „აფხაზური გვარის" აღდგენის უფლება არა მხოლოდ ეთნიკურ აფხაზებს, არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებსაც ენიჭებათ. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნულ კატეგორიას ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა წარმოადგენს.

„სამოქალაქო მდგომარეობის აქტების" შესახებ ე.წ. კანონში შეტანილი ცვლილებები, მათ შორის, მიზნად ისახავდა ოკუპირებული გალის რაიონის ქართული მოსახლეობის ეთნიკური იდენტობის შეცვლას.

საერთაშორისო მექანიზმები

2023 წელს რუსეთის საოკუპაციო ძალებისა და საოკუპაციო რეჟიმების მიერ აქტიურად განიხილებოდა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების არაეფექტიანობის საკითხი. რუსეთის განცხადებით, შვეიცარია შეუერთდა მოსკოვის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ „უკანონოდ დაწესებულ სანქციებს", შესაბამისად, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის დარეგულირების კონტექსტში აღნიშნულ ქვეყანას არ შეეძლო შუამავლის როლზე პრეტენზია ჰქონოდა. მსგავსი პოზიცია დააფიქსირეს საოკუპაციო რეჟიმებმაც. მათ შორის,

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა **ინალ არძინბამ** ჟენევის დისკუსიების არაეფექტურობასა და სტაგნაციაზე ისაუბრა, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის წარმომადგენელმა **კონსტანტინე კოჩიევმა,** ფორმატის სხვა ადგილას გადატანის საკითხი „არაერთ დისკრიმინაციულ შეზღუდვას" დაუკავშირა.

საანგარიშო პერიოდში ოკუპაციიდან მომდინარე საფრთხეები და გამოწვევები მუდმივად განიხილებოდა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე.

2023 წელს ოკუპირებული აფხაზეთის წარმომადგენლები თითქოს მზად იყვნენ გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრების აღდგენაზე, თუმცა რეალურად ქმედითი ნაბიჯი საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან არ გადადგმულა.

ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით 2023 წელს IPRM-ის 10 შეხვედრა გაიმართა, მათ შორის სამი - ე.წ. ტექნიკური შეხვედრა.

ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნულ შეხვედრებზე მოითხოვდნენ უკანონოდ დაკავებული პირების უპირობო და დაუყონებლივ გათავისუფლებას. ხაზგასმით აღინიშნებოდა, რომ აუცილებელია ადგილობრივ მოსახლეობას მიეცეს თავისუფალი გადაადგილების უფლება. ასევე, ყურადღება მახვილდებოდა ე.წ. ბორდერიზაციის უკანონო პროცესის დამაზიანებელ შედეგებზე.

საოკუპაციო ხაზსა თუ მის მიმდებარე ტერიტორიაზე დაფიქსირებულ ინციდენტზე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად სარგებლობდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მეშვეობით მოქმედი „ცხელი ხაზით". საანგარიშო პერიოდში ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით ცხელი ხაზი 374-ჯერ გააქტიურდა, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით - 1 585-ჯერ.

2023 წელს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების სამი შეხვედრა გაიმართა, რომლებზეც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა, მანდატის ფარგლებში, ხაზგასმით აღნიშნა უსაფრთხოების კუთხით ოკუპაციიდან მომდინარე საფრთხეები. მათ შორის, ყურადღება გამახვილდა ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზე, უკანონო დაკავებებზე, ე.წ. ბორდერიზაციის უკანონო პროცესზე და სხვა.

საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განაგრძობდა მჭიდრო და ეფექტიან თანამშრომლობას ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან (EUMM). უმნიშვნელოვანესია საქართველოში EUMM-ის ოპერირება, ადგილზე არსებული ვითარების მონიტორინგისა და პროცესში ევროკავშირის ჩართულობის მიზნით. თუმცა, სამწუხაროდ, რუსეთის საოკუპაციო ძალის გადაწყვეტილებით, EUMM-ს მანდატის სრულად შესრულება და ოკუპირებულ რეგიონებში შესვლა კვლავ ეზღუდებოდა.

მიუხედავად ამისა, EUMM-ი, სახელმწიფო უწყებებთან ერთად, საოკუპაციო ხაზზე მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN), ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE), ასევე, ევროპის საბჭოს (CoE) წარმომადგენლებთან. ჰუმანიტარული კუთხით, ხაზგასასმელია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან (ICRC) თანამშრომლობა, მათ შორის, ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ პირთათვის გადაუდებელი სამედიცნო დახმარებისა და მათი ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოყვანის მიმართულებით. ასევე, აღსანიშნავია ხსენებული ორგანიზაციის ჩართულობით 90-იანი წლების კონფლიქტისა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოსაძიებლად გაწეული მუშაობა, რომლის ფარგლებშიც, საანგარიშო პერიოდში, „სამმხრივი საკოორდინაციო მექანიზმის“ შეხვედრა 2023 წლის მაისში გაიმართა.

საანგარიშო პერიოდში, ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეების იდენტიფიცირების, მათი მაქსიმალურად განეიტრალებისა და რუსეთის ფედერაციის მხრიდან ანექსიის გააქტიურებული პროცესების ხელშესაშლელად, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობდა და მუდმივად აწვდიდა ინფორმაციას საქართველოს სახელმწიფო უწყებებსა და საერთაშორისო პარტნიორებს. ამასთან, ოკუპირებულ რეგიონებსა და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ვითარების შესახებ ინფორმირების მიზნით, მანდატის ფარგლებში, სამსახური მართავდა შეხვედრებს პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი თანამდებობის პირებთან, საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან.

სახელმწიფო უსაფრთხოება და კონტრდაზვერვითი საქმიანობა

2023 წელს რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დინამიკამ გაზარდა შეიარაღებული კონფლიქტის დროში გაჭიანურების საფრთხე, რამაც დამატებითი გამოწვევები შეუქმნა ისედაც რთულ რეგიონული უსაფრთხოების გარემოს, გლობალური მასშტაბით შეაფერხა ქვეყნების მდგრადი და სტაბილური განვითარება, გაზარდა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისების შენარჩუნებისა და გაღრმავების ალბათობა. უსაფრთხოების გარემოზე განსაკუთრებით ზემოქმედებდა რუსეთის

ფედერაციის მხრიდან ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ პერიოდულად გაკეთებული განცხადებები.

საანგარიშო პერიოდში კვლავ იკვეთებოდა საქართველოს წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის ელემენტების გამოყენების ფაქტები.

შავი ზღვის რეგიონში არსებული რთული ვითარების ფონზე და რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების ოკუპაციის პირობებში, რასაც იგი აქტიურად იყენებს ქვეყნის წინააღმდეგ დესტრუქციული პოლიტიკის საწარმოებლად, 2023 წელს ადგილი ჰქონდა სხვადასხვა აქტორების მიერ საქართველოში პოლიტიკური ვითარების გამწვავებისა და ხელისუფლების ძალადობრივი გზით ცვლილებისთვის ნიადაგის მომზადებისა და რესურსების მობილიზების მცდელობებს.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მიღებული ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ პირთა გარკვეული ჯგუფი, 2023 წლის ოქტომბერ-დეკემბერში საქართველოში გეგმავდა დესტაბილიზაციისა და სამოქალაქო არეულობის მოწყობას, რომლის საბოლოო მიზანი ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა იყო.

დესტრუქციული პროცესების დაწყების თარიღებად შერჩეული იყო პერიოდი, როდესაც უნდა გამოქვეყნებულიყო ევროკომისიის შუალედური და ევროკავშირის საბოლოო დასკვნა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

მოლოდინი გათვლილი იყო იმ გარემოებაზე, რომ გამოქვეყნებული დასკვნა იქნებოდა უარყოფითი, რაც საინფორმაციო ქსელებით, მთავრობისთვის ხელოვნურად მიმაგრებული პრორუსულობის ლოზუნგით, საზოგადოებრივი მღელვარებისა და შემდგომი არეულობებისთვის ნაყოფიერ ნიადაგს შექმნიდა.

აღნიშნული გეგმის განხორციელება იგეგმებოდა უცხო ქვეყნების კოორდინაციითა და ფინანსური მხარდაჭერით, რისთვისაც გამოყენებული იქნებოდა უკრაინაში მებრძოლი ქართული წარმოშობის საკმაოდ დიდი ჯგუფი და დაინტერესებული მხარის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ქართველი ახალგაზრდების ნაწილი, რომელთა გადამზადება-წვრთნა მიმდინარეობდა პოლონეთი-უკრაინის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარედ.

განიხილებოდა მოვლენათა განვითარების რამდენიმე სცენარი, რომელიც მოიცავდა სტრატეგიულ ობიექტებთან ბარიკადების აღმართვას, სამთავრობო შენობების დაკავება-ბარიკადირებასა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, რომლებსაც უნდა მოჰყოლოდა მძიმე პროვოკაციები. მათ შორის, იგეგმებოდა ე.წ. „კარვების ქალაქის“ ტერიტორიაზე, წინასწარ შერჩეულ კარავში ასაფეთქებელი მოწყობილობის შეტანა და

აფეთქება, რასაც უნდა გამოეწვია მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობასა და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა რიგებში.

აღნიშნული რისკების გასანეიტრალებლად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, სხვა კომპეტენტურ უწყებებთან კოორდინაციით, ახორციელებდა ყველა საჭირო პრევენციულ ღონისძიებას.

საანგარიშო პერიოდში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან დაკავშირებული პირები და პირთა ჯგუფები განაგრძობდნენ ქვეყანაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივების, სტრატეგიულ პარტნიორებთან და დასავლურ ინსტიტუტებთან ურთიერთობების დაზიანების, საზოგადოების პოლარიზებისა და სოციალურ-ეკონომიკური ფონის გაუარესების მცდელობებს.

2023 წელს უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას კვლავ წარმოადგენდა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებში, ასევე, მათ მიერ შექმნილ ჯგუფებში პოზიციების მოპოვება და განმტკიცება, რაც საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლის მოხდენის მიზნით, შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო დესტრუქციული პროცესების ინსპირირებისთვის, მათ შორის, ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე შუღლისა და დაპირისპირების გაღვივებისთვის.

გამოიკვეთა უცხო ქვეყნის სპეციალურ სამსახურებთან დაკავშირებული პირების მცდელობები საქართველოში მოქმედ მედიასაშუალებებსა და ცალკეულ ჯგუფებთან ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და მათი საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენების მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში, აგრძელებდა აქტიურ მუშაობას უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების დესტრუქციული საქმიანობის განეიტრალებისა და ადრეულ ეტაპზე მათი პრევენციის მიმართულებით.

ხორციელდებოდა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების დაინტერესების მიმართულებების, მათ ინტერესებში მოქმედი პირებისა და პირთა ჯგუფების გამოვლენა, მათი საქმიანობის მონიტორინგი, ამოცანებისა და მიზნების დადგენა.

სამსახურის ოპერატიული, ოპერატიულ-საგამოძიებო და ანალიტიკური მუშაობის შედეგად, მათ შორის სხვა სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციის პირობებში, მოხერხდა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ ინსპირირებული ქვეყნის ეროვნული ინტერესების დამაზიანებელი ღონისძიებების განეიტრალება. ეფექტიანად იქნა გამოყენებული დესტრუქციულ საქმიანობაში ჩართული სუბიექტების ქვეყანაში არშემოშვებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემზღუდავი მექანიზმები.

უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ საკუთარი საქმიანობის ფარგლებში გამოყენებული ახალი მეთოდებისა და საშუალებების პირობებში, აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობდა თანამშრომლობა პარტნიორი ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან.

შედეგად, რეგიონში არსებული მძიმე გეოპოლიტიკური კრიზისისა და გაზრდილი გამოწვევების ფონზე, საანგარიშო პერიოდში სამსახურმა შეძლო ქვეყანაში უსაფრთხო და მშვიდობიანი გარემოს შენარჩუნება.

2023 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში გამოვლინდა, რომ უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების ინტერესს წარმოადგენდა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, საზოგადოებრივი განწყობები, პოლიტიკური პარტიების რეიტინგები და 2024 წელს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში მათი გამარჯვების შანსები. ასევე, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არსებული ვითარება და მოსახლეობის განწყობები, საქართველოში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციებში მიმდინარე პროცესები.

ცალკეული ქვეყნების სპეციალური სამსახურების ინტერესის სფეროში შედიოდა საქართველოს ძალოვანი უწყებების საქმიანობა. ინფორმაციის მოპოვება სახელმწიფო საზღვრის ცალკეული მონაკვეთების, სამოქალაქო და სამხედრო დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტების და ასევე, ქართული მხარის მონაწილეობის შესახებ სხვადასხვა სახის სამხედრო თუ სხვა სახის საერთაშორისო წვრთნებში, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განაგრძობდა საქართველოს თავდაცვის ძალებისა და სხვა ძალოვანი უწყებების კონტრდაზვერვით უზრუნველყოფას. კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, მიმდინარეობდა ოპერატიულად საყურადღებო პირთა შესაბამისი მონიტორინგი, მათგან მომდინარე შესაძლო ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების აღსაკვეთად.

რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე საერთაშორისო გადაზიდვების კუთხით შეცვლილი გარემოებებიდან გამომდინარე, დაფიქსირდა უცხოური და საქართველოში მოქმედი ცალკეულ პირთა ჯგუფებისა და ძალების მხრიდან მზარდი დაინტერესება საქართველოს გავლით ახალი სატრანსპორტო დერეფნების ამოქმედების პერსპექტივებსა და გეგმებთან დაკავშირებით. ასევე, საქართველოს გავლით სატრანზიტო პოტენციალის ზრდიდან გამომდინარე, ცალკეული ქვეყნების ბიზნესსექტორის წარმომადგენელთა მხრიდან მიმდინარეობდა ახალი ბიზნესპროექტების შემუშავებისა და განხორციელების მცდელობები. ამასთან, სხვადასხვა ეკონომიკური და ბიზნესპროექტების გამოყენებით, უცხო ქვეყნები აგრძელებდნენ მუშაობას საქართველოზე ეკონომიკური ზეგავლენის ბერკეტების მოსაპოვებლად.

საანგარიშო პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სამსახური განაგრძობდა აქტიურ ღონისძიებებს უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების მიერ ეკონომიკურ პროცესებში ჩარევის პრევენციისა და მათი დირექტივებით მოქმედი კერძო ორგანიზაციების გამოვლენის მიმართულებით. სამსახური ახორციელებდა სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულებების ანალიზსა და მათთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკების გამოვლენას, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში არსებულ ან/და დაგეგმილ ეკონომიკურ ურთიერთობებში შესაძლო საფრთხეების გამოკვეთას. არსებული გამოწვევების შესამცირებლად მუშავდებოდა რეკომენდაციები და გატარდა შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში საქართველოში უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები საკუთარი ქვეყნის ინტერესების გასატარებლად აქტიურად იყენებდნენ მათდამი ლოიალურად განწყობილ საქართველოს მოქალაქეებს, პოლიტიკურ აქტივობებში ჩართულ პირებს და პირთა ჯგუფებს, ჟურნალისტებს და კერძო კომპანიებს, საქართველოში სხვადასხვა სტატუსით მყოფ უცხო ქვეყნების მოქალაქეებს.

2023 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად გამოვლენილი საფრთხეების გასანეიტრალებლად გატარებული ღონისძიებების შედეგად, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 14 საქმეზე.

სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 2 საქმეზე.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში, სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ მოპოვებული ათობით ოპერატიული ინფორმაცია ქვემდებარეობით გადაიგზავნა საგამოძიებო უწყებებში, სადაც გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმეებზე.

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონების, ასევე, სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ნორმების საფუძველზე, საანგარიშო წლის განმავლობაში, სამსახური სახელმწიფო ორგანოებსა და სტრატეგიული მნიშვნელობის სუბიექტებზე ატარებდა საიდუმლოებისა და უსაფრთხოების რეჟიმის დაცვის საორგანიზაციო ღონისძიებებს. არსებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, გასცემდა შესაბამის პრევენციული სახის რეკომენდაციებს მაღალი რისკის მქონე ობიექტებზე უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების მიერ აგენტურის შესაძლო ჩანერგვისა და ტექნიკური შეღწევის, ასევე, გამართული ფუნქციონირებისთვის ხელშემშლელი ქმედებების თავიდან აცილების მიზნით.

2023 წელს სამსახური განაგრძობდა სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალური დაშვებისა და სახელმწიფო ორგანოს/იურიდიული პირის დაშვებისთვის სანდოობისა და საიმედოობის დასადგენად სპეციალური ღონისძიებების გატარებას.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო საიდუმლოებასთან სახელმწიფო ორგანოს/იურიდიული პირის დაშვება გაიცა 192 ორგანიზაცია-დაწესებულებაზე, ხოლო გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების, სანდოობისა და საიმედოობის დაბალი ხარისხის საფუძველზე, აღნიშნული ნებართვის მიღებაზე უარი ეთქვა 6 მათგანს.

ამასთან, საიდუმლოების დაცვის რეჟიმისა და საიდუმლო საქმისწარმოების კომისიური შემოწმება განხორციელდა 141 ორგანიზაცია-დაწესებულებაში. 5 857 ფიზიკურ პირზე განხორციელდა სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალური დაშვების შემოწმების პროცედურა.

2023 წელს კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში სამსახურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა მიგრაციული არხებისა და ნაკადების მონიტორინგი. არსებული გამოწვევებისა და საფრთხეების გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საქართველოში სხვადასხვა საფუძვლით შემოსვლისა და ცხოვრების ნებართვის მოპოვების მსურველთა შესწავლას, რაც საქართველოს კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებების სრული დაცვით ხორციელდებოდა.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა განიხილა 169 407 უცხო ქვეყნის მოქალაქის საქმე, რომლებიც ითხოვდნენ საქართველოში სხვადასხვა სტატუსით ცხოვრების ნებართვის მოპოვებას.

საქართველოს მოქალაქეობის სხვადასხვა წესით მინიჭება/შენარჩუნება/აღდგენასთან დაკავშირებით განხილულ იქნა 12 402 საქმე.

გატარებული ოპერატიული და ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ 2023 წელს ფიქციური დოკუმენტების საფუძველზე, სხვადასხვა სახის ბინადრობის ნებართვის მიღებას ცდილობდა უცხო ქვეყნის 182 მოქალაქე, რის შესახებ ინფორმირებულ იქნენ საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები.

აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოში ცხოვრების ნებართვის მიღების საკითხში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ხელშემწყობი პირების კავშირებისა და მათი შესაძლო უკანონო საქმიანობის გამოვლენის მიზნით. შედეგად, დადგენილ იქნა საქართველოს რამდენიმე მოქალაქე და მათ მიერ რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომლებიც შესაბამისი ნებართვის მისაღებად უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ყალბი მონაცემების შემცველ სარეკომენდაციო წერილებს გასცემდნენ.

საქართველოში ცხოვრების ნებართვის მიღების მსურველთა შორის, სამსახურმა გამოავლინა პირები, რომლებიც ინტერპოლის ან ადგილობრივი სამართალდამცავი

უწყებების მიერ იძებნებოდნენ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე. მათ შესახებ ინფორმაცია ეცნობა შესაბამის უწყებებს.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, მიგრაციული არხების მონიტორინგის პროცესში დესტრუქციული სუბიექტების, მათ შორის, სპეციალურ სამსახურებთან კავშირში მყოფი პირების გამოსავლენად, მუდმივ რეჟიმში ახორციელებდა შესაბამის ოპერატიულ ღონისძიებებს, ასევე, იღებდა სათანადო ზომებს მათგან მომდინარე საფრთხეების პრევენციისა და აღკვეთის მიზნით.

2023 წელს საქართველოში სხვადასხვა სტატუსით მცხოვრები და მოღვაწე უცხო ქვეყნების მოქალაქეებს შორის დაფიქსირდნენ პირები, რომლებიც სხვა ქვეყნის სასარგებლოდ იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული საქმიანობით იყვნენ დაკავებული. ასევე დადგინდა ამ კატეგორიის ცალკეული პირების მხრიდან ქვეყნის ინტერესების დამაზიანებელი მიზანმიმართული ქმედებების, მათ შორის, დეზინფორმაციის გავრცელების ფაქტები. შედეგად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გატარდა ყველა საჭირო ღონისძიება შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით.

2023 წელს მიგრაციული ნაკადების მონიტორინგის შედეგად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოავლინა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში ორგანიზებული დანაშაულებრივი რამდენიმე ჯგუფის შექმნისა და უკანონო საქმიანობის განხორციელების მცდელობები. აღნიშნულის აღსაკვეთად და მოსალოდნელი საფრთხეების გასანეიტრალებლად გატარდა შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის ქვეყანაში შემოსვლა აეკრძალათ ზემოაღნიშნულ ჯგუფებთან კავშირში ეჭვმიტანილ პირებს.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო კოორდინაციით, მუდმივ რეჟიმში ატარებდა ყველა საჭირო ღონისძიებას სანქციებისთვის თავის არიდების პრევენციისთვის.

ოპერატიულ კონტროლზე იყო აყვანილი უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ქვეყანაში იურიდიული პირების დაფუძნების შემთხვევები და მიღებულ იქნა ზომები, სანქციებისთვის თავის არიდების პროცესში, ქართული კომპანიების შესაძლო ჩართვის აღსაკვეთად. შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე 2023 წელს ამ ტიპის საქმიანობაში ჩართული ორგანიზაციები არ დაფიქსირებულა.

მიგრაციული ნაკადების კონტროლის მიმართულებით საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით, სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გაუმჯობესება. 2023 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, საკუთარი კომპეტენციიდან გამომდინარე და შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით, განახორციელა მნიშვნელოვანი პროექტები სასაზღვრო ტექნოლოგიების განვითარების მიზნით შესაბამისი პროგრამული და აპარატული საშუალებების შესამუშავებლად და დასანერგად.

საანგარიშო წლის განმავლობაში, აშშ-ის თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოსთან (DTRA) პარტნიორობის ფარგლებში, სამსახურის სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოში შექმნილმა „მობილური დაკვირვების სისტემების ინტეგრაციისა და მომსახურების ცენტრმა“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფებისთვის განახორციელა 5 ერთეული მობილური დაკვირვების სისტემის აწყობა და ინტეგრაცია.

ასევე, სამსახურის სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ დაიწყო სასაზღვრო უსაფრთხოების მაღალსიჩქარიანი საკომუნიკაციო ქსელის პროექტის იმპლემენტაცია, რაც გულისხმობს მაღალსიჩქარიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის შექმნას. აღნიშნული სახელმწიფოს აძლევს საშუალებას, შექმნას სრულიად უსაფრთხო და დამოუკიდებელი ქსელი.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებდა შესაბამის ოპერატიულ და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ასევე, საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით რადიაციული და ბირთვული ნივთიერებების ტრანზიტის შესაძლო შემთხვევების აღსაკვეთად. ამ მიზნით, სამსახური მუდმივ კოორდინაციაში იმყოფებოდა შესაბამის უწყებებთან.

გატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2023 წელს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაბამისი დანაყოფების მიერ, რადიოაქტიური ნივთიერებების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების მცდელობის ფაქტზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 1 პირი.

დეზინფორმაცია და ჰიბრიდული ომის სხვა საფრთხეები

2023 წელს განსაკუთრებით გაზრდილი იყო საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ჰიბრიდული საფრთხეები. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მუდმივ რეჟიმში იღებდა ყველა შესაძლო ზომას, რათა მოეხდინა პრევენცია და აღეკვეთა სხვადასხვა დესტრუქციული ელემენტების მიერ ე.წ. რბილი ძალის, ფარული ოპერაციებისა და საინფორმაციო ომის ინსტრუმენტების გამოყენებით ქვეყნის ეროვნული ინტერესების დასაზიანებლად წარმოებული ღონისძიებები.

დეზინფორმაცია და პროპაგანდა

საანგარიშო პერიოდში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, უცხო ქვეყნის სპეციალურ სამსახურებთან დაკავშირებული ძალებისა და ცალკეული დესტრუქციული ელემენტების მიერ აქტიურად მიმდინარეობდა ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული კამპანიები.

2023 წელს საინფორმაციო ომის ფარგლებში სხვადახვა ძალების მიერ წარმოებული კამპანიის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ქვეყანაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივება, საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეფერხება, სტრატეგიულ მოკავშირეებთან პარტნიორული ურთიერთობების დაზიანება, საქართველოს როგორც დემოკრატიული და დასავლური ფასეულობების მატარებელი ქვეყნის იმიჯის დისკრედიტაცია, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების უნდობლობისა და უკმაყოფილების გაზრდა, ასევე, საზოგადოებაში პოლარიზაციის დონის ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში, დაფიქსირდა ცალკეული მედიასაშუალებების მხრიდან, ასევე სოციალური ქსელების და ინტერნეტსივრცის გამოყენებით, მიზანმიმართული პროვოკაციული განცხადებები, რაც ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში უკმაყოფილების მუხტის გაღვივებისა და დაპირისპირების პროვოცირების საფრთხეს ქმნიდა.

გამოვლინდა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი ცალკეული ჯგუფები, რომლებიც ზემოაღნიშნული კატეგორიის მოსახლეობაში ავრცელებდნენ ნაციონალისტური ხასიათის განცხადებებს, ცრუ და დამახინჯებულ ფაქტებზე დაფუძნებულ ინფორმაციას და ანტიქართულ ნარატივებს.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებდა ე.წ. საინფორმაციო ომის ფარგლებში მიმდინარე პროცესების მონიტორინგს და აღნიშნული კამპანიების დაფინანსების წყაროების გამოვლენას. ოპერატიულ კონტროლზე იყო აყვანილი საზღვარგარეთ მსგავს საქმიანობაში ჩართული ორგანიზაციები და საქართველოში მათთან შესაძლო კავშირის მქონე სუბიექტები, რომლებიც ხელს უწყობდნენ შუღლისა და ნაციონალისტური განწყობების გაღვივებას. არსებული გამოწვევების განეიტრალების მიზნით, სამსახურის მიერ ტარდებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

ე.წ. რბილი ძალა და ფარული ოპერაციები

საანგარიშო პერიოდში საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე უარყოფით გავლენას ახდენდა ცალკეული ქვეყნების სპეციალური სამსახურების მიერ ე.წ. რბილი ძალის პოლიტიკის ფარგლებში წარმოებული ღონისძიებები, ხოლო ფარული ოპერაციებისთვის აქტიურად გამოიყენებოდა როგორც საქართველოში, ისე საკუთარ ქვეყნებში მოქმედი პოლიტიკური და სამეცნიერო წრეების, სხვადასხვა სახის ჯგუფების, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ფონდების, კერძო სექტორის წარმომადგენელთა შესაძლებლობები.

მათი გამოყენებით, საქართველოზე გავლენის მოპოვებით დაინტერესებული ცალკეული სახელმწიფოების სპეციალური სამსახურები ცდილობდნენ მჭიდრო ურთიერთობები დაემყარებინათ საქართველოს მოქალაქეებთან, მათ შორის კულტურისა და

საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, სამოქალაქო აქტივისტებთან, ექსპერტებსა და პირთა ჯგუფებთან. ამ მიზნით აქტიურად გამოიყენებოდა საკუთარ ან მესამე ქვეყნებში გამართული სხვადასხვა სახის სემინარები, კონფერენციები, საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებები.

აღნიშნული პროექტების საშუალებით უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურები ცდილობდნენ საკუთარი ხელისუფლების პოლიტიკური კურსისა და იდეოლოგიის პროპაგანდას, საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის შეგროვებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულებით მიმდინარე პროცესებზე ზეგავლენის მოხდენას. ასევე, დაფიქსირდა მათ მიერ კონტროლირებადი ჯგუფების კონსოლიდაციისა და აქტიურ პოლიტიკაში ჩართვისთვის ნიადაგის მომზადების მცდელობები.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ფაქტები, როცა საქართველოს რელიგიური და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საკუთარი გავლენების გასაზრდელად უცხოური სპეციალური სამსახურები სხვადასხვა ჯგუფების პოზიციების გამოყენებას ცდილობდნენ. ადგილობრივ მოსახლეობაში უცხო სახელმწიფოების მიმართ ლოიალური დამოკიდებულების გასაზრდელად ისინი აფინანსებდნენ სხვადასხვა სახის რელიგიურ, ჰუმანიტარულ და ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ კონტროლზე იყო აყვანილი უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურებთან კავშირში მყოფი პირებისა და პირთა ჯგუფების მიერ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ცალკეული ღონისძიებების ჩატარების მცდელობები. დადგინდა მათი ინტერესები, მიზნები და ამოცანები. მათი საქმიანობის შეზღუდვის მიზნით, კანონმდებლობის შესაბამისად, გატარდა კომპლექსური ღონისძიებები.

სამსახურის მიერ გამოვლინდა საზღვარგარეთ რეგისტრირებული ან უცხოური კაპიტალით საქართველოში დაფუძნებული ცალკეული იურიდიული პირები, რომლებიც შესაძლოა გამოიყენებოდეს უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების სადაზვერვო ოპერაციების რესურსად.

კანონდარღვევების პრევენციისა და გამოვლენის მიზნით, ხორციელდებოდა ამ კუთხით მიმდინარე პროცესების კონტროლი და ანალიზი. ცალკეულ პირთა მიმართ გამოყენებულ იქნა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, მათ შორის, სასაზღვრო კონტროლის მექანიზმები.

კიბერუსაფრთხოება

2023 წელს საქართველოს უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად კვლავ რჩებოდა ქვეყნის კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ წარმოებული კიბერშეტევითი და კიბერსადაზვერვო ოპერაციები.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ რეაგირება მოახდინა მძიმე და საშუალო სირთულის 140 კიბერინციდენტზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების (სახელმწიფო ორგანოები) წინააღმდეგ.

საანგარიშო პერიოდში, ქვეყნის კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობების და კიბერშეტევების მიმართ სახელმწიფო სტრუქტურების დაცვის ხარისხის ამაღლების მიზნით, I კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის ცალკეულ სუბიექტებში განხორციელდა სრულმასშტაბიანი შეღწევადობის ტესტირება. განხორციელებული ტესტირების ფარგლებში, უსაფრთხოების კრიტიკულ შეუსაბამობებთან ერთად, გამოვლინდა არაერთი მძიმე კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტი, რომლებზეც განხორციელდა "ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ" კანონით გათვალისწინებული შესაბამისი რეაგირება.

ასევე, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში, განხორციელდა I კატეგორიის 13 უწყების წარმომადგენელთა ტრენინგი ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის, კომპიუტერული ინციდენტების მართვის, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვისა და განვითარების საკითხებზე.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

2023 წელს საერთაშორისო ტერორიზმი გლობალური უსაფრთხოებისთვის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად რჩებოდა.

ტერორისტული ორგანიზაციები „დაეში" და „ალ-კაიდა" ტერორისტულ აქტივობებს განაგრძობდნენ, „თალიბანი" კი საფრთხეს წარმოადგენდა როგორც ლოკალური, ისე რეგიონული სტაბილურობის თვალსაზრისით. აღნიშნულის გარდა, „ჰამასის" მიერ ისრაელზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად, ახლო აღმოსავლეთში არსებული უსაფრთხოების კონტექსტი მნიშვნელოვნად შეიცვალა.

საერთაშორისო ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართულებით არსებული ვითარება

„დაეში"

2023 წელს „დაეშმა" კიდევ ერთი ლიდერი დაკარგა, თუმცა ტერორისტული აქტივობების განხორციელება აფრიკის ცალკეულ რეგიონებში, სირია-ერაყის ტერიტორიასა და ავღანეთში კვლავ განაგრძო. ტერორისტული ორგანიზაციის აფრიკული ე.წ. დანაყოფი კონტინენტზე მიმდინარე ლოკალური კონფლიქტების შედეგად შექმნილ ვითარებას

საკუთარი ინტერესების შესაბამისად იყენებდა და ადგილზე ტერაქტების განხორციელების მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „დაეშის“ აფრიკული ე.წ. ფრთა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში „დაეშის“ ე.წ. ცენტრალური ლიდერებისგან გარკვეული ავტონომიით სარგებლობდა.

ტერორისტული ორგანიზაცია აქტივობას ინარჩუნებდა სირიასა და ერაყში. აღნიშნულ ქვეყნებში, უსაფრთხოების თვალსაზრისით, კვლავ გამოწვევად რჩებოდა დაკავებული უცხოელი ტერორისტი მებრძოლების საკითხი და ბანაკებში მცხოვრები მათი ოჯახის წევრების რეპატრიაცია. მნიშვნელოვანი პრობლემები იკვეთებოდა არასრულწლოვნების რადიკალიზაციის მიმართულებითაც.

ავღანეთში მოქმედ „დაეშის“ ე.წ. დანაყოფს, რომელიც რამდენიმე ათასი მებრძოლით იყო წარმოდგენილი, ქვეყანაში არსებული ზოგადი ვითარების გათვალისწინებით, გაძლიერებისა და აქტიურად მოქმედების შესაძლებლობა ეძლეოდა. ავღანეთში „დაეშის“ მთავარ სამიზნეს ადგილობრივი უმცირესობები წარმოადგენდნენ. ტერორისტული დაჯგუფება აფიქსირებდა ქვეყნის საზღვრებს მიღმა მოქმედების სურვილსაც.

„დაეშის“ რიგით მე–4 ლიდერი სირიის პროვინცია იდლიბში, ადგილობრივ მოწინააღმდეგე დაჯგუფებასთან დაპირისპირების შედეგად დაიღუპა. ტერორისტული ორგანიზაციის მიერ დასახელებულ ახალ ლიდერს, საანგარიშო პერიოდში, მისი წინამორბედის მსგავსად, „დაეშის“ აქტივობებში ცვლილებები თითქმის არ შეუტანია. საგულისხმოა, რომ ტერორისტული ორგანიზაციის ყველაზე ბრძოლისუნარიან დანაყოფს აფრიკის კონტინენტზე მოქმედი „დაეშის“ ქსელი წარმოადგენდა. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ 2023 წლის განმავლობაში, ისევე როგორც გასულ წლებში, ტერორისტული ორგანიზაციის ფინანსური შესაძლებლობები კვლავ მცირდებოდა.

„ალ-კაიდა“

საანგარიშო პერიოდში „ალ-კაიდა“ ტერორისტულ აქტივობას თავისი ცალკეული ე.წ. რეგიონული დანაყოფების მეშვეობით ინარჩუნებდა, რომელთა შორის აღსანიშნავია აფრიკაში მოქმედი დაჯგუფებები. ასევე, ლოკალურ დონეზე გარკვეულ მოქმედებებს ტერორისტული ორგანიზაციის იემენში მოქმედი ქსელი ახორციელებდა. ავღანეთში არსებული ვითარება დადებით გავლენას ახდენდა „ალ–კაიდას“ შესაძლებლობებზე, რომლის ლიდერების ყოფნა აღნიშნულ ტერიტორიაზე 2023 წელსაც ფიქსირდებოდა.

ლიდერის დაკარგვის შემდეგ, „ალ-კაიდას“ მისი შემცვლელის არჩევის შესახებ არ განუცხადებია, თუმცა საანგარიშო წლის განმავლობაში ტერორისტულ ორგანიზაციას ახალი ფაქტობრივი მეთაური მართავდა. აღნიშნული ლიდერის პირობებშიც კი, „ალ–კაიდას“ დღის წესრიგი მნიშვნელოვანად არ შეცვლილა, ტერორისტული ორგანიზაცია

საგრძნობლად არ დასუსტებულა და მის მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტივობები კარდინალურად არ შემცირებულა.

„თალიბანი“

„თალიბანის“ მიერ ავღანეთში შექმნილი ვითარება, რეგიონული და გლობალური უსაფრთხოების თვალსაზრისით, კვლავ ქმნიდა ახალ გამოწვევებს. ტერორისტული საფრთხეების გაძლიერების გარდა, „თალიბანის“ მმართველობით გამოწვეული მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობა ადგილობრივი მოსახლეობის იძულებით გადაადგილებას განაპირობებდა. ავღანეთიდან ევროპის მიმართულებით განსაკუთრებით დიდი მასშტაბის მიგრაციულმა ნაკადმა, მათ შორის, ტერორიზმისა და რადიკალიზაციის კუთხით, მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნა.

ავღანეთში მოქმედი „დაეშის“ ქსელის გაუვნებელყოფა, „თალიბანის“ შესაძლებლობებს აღემატებოდა. თავის მხრივ, „თალიბანის“ მიერ მჭიდრო ურთიერთობის შენარჩუნება „ალ–კაიდასთან“, ამ უკანასკნელისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა.

„ჰამასი“

2023 წლის 7 ოქტომბერს „ჰამასის“ მიერ ისრაელზე განხორციელებული, წინასწარ ორგანიზებული მასშტაბური თავდასხმა, ტერორისტული დაჯგუფებისგან მომდინარე საფრთხის, ფაქტობრივად, უპრეცედენტო გამოვლინებას წარმოადგენდა. აღნიშნული ტერაქტის შემდეგ, ახლო აღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა რეგიონის სტაბილურობა და უსაფრთხოება მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა.

„ჰამასის“ მიერ განხორციელებულმა თავდასხმამ სხვა ტერორისტული ორგანიზაციების ერთგვარი ინსპირაცია განაპირობა. აღნიშნული ჯგუფები აქტიურად იყენებდნენ ისრაელზე განხორციელებულ ტერორისტულ აქტს და მის შედეგებს იდეოლოგიის მიმართ მოწყვლადი პირების რადიკალიზაციისთვის.

ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმი

საანგარიშო პერიოდში ახლო აღმოსავლეთის რეგიონში განვითარებულმა მოვლენებმა დასავლეთში ულტრამემარჯვენე - ისლამოფობიური და ანტისემიტური განწყობების მნიშვნელოვნად გაძლიერებას შეუწყო ხელი. ადგილი ჰქონდა ძალადობრივი ექსტრემიზმის სხვადასხვა გამოვლინებას, რელიგიური და ეთნიკური შეუწყნარებლობით ინსპირირებული იდეების გავრცელებას.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მსოფლიოში ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ინციდენტების ზრდის ტენდენცია ფიქსირდებოდა, თუმცა 2023 წელს ღაზის სექტორში შექმნილი ვითარების შედეგად, აღნიშნულმა გამოწვევამ ახალ ნიშნულს მიაღწია. დასავლეთის ცალკეულ ქვეყნებში ანტისემიტური და ისლამოფობიური განწყობებით გამოწვეული ათასობით შემთხვევა დაფიქსირდა.

საქართველოს კონტრტერორისტული ძალისხმევა

2023 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განაგრძობდა კონტრტერორისტული მიმართულებით საქმიანობას. სამსახური ტერორისტულ საფრთხეებთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, სათანადო პრევენციულ ზომებს მიმართავდა. აღნიშნულის გარდა მიმდინარეობდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტების გაუმჯობესება და გაძლიერება, ასევე, რეაგირების შესაძლებლობების დახვეწა, მათ შორის, კონტრტერორისტულ საქმიანობაში უშუალოდ ჩართული დანაყოფების შესაძლებლობების განვითარება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობას ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღებისა და გაზიარების კონტექსტში.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა „დაეშის“ მიერ უცხო ქვეყნებში ტერაქტების განხორციელებასთან დაკავშირებული გეგმები გამოავლინა. კომპლექსური საგამოძიებო და ოპერატიული მოქმედებების შედეგად, მოპოვებულ იქნა მტკიცებულებები, რითაც დასტურდებოდა, რომ "დაეშის" კონკრეტული ფრთა აშშ-სა და ევროპის დედაქალაქებში ტერორისტული თავდასხმების განხორციელებას განიხილავდა. აღნიშნული ინფორმაცია ოპერატიულად გაუზიარდა საერთაშორისო პარტნიორებს და ტერორისტული აქტივობების პრევენცია მოხერხდა.

სამსახურმა, მასშტაბური კონტრტერორისტული ოპერაციის შედეგად, „დაეშთან“ დაკავშირებული პირების, საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული შესაძლო თავდასხმის ობიექტების იდენტიფიცირება მოახდინა, ხოლო ტერორისტული ორგანიზაციის მხარდამჭერები, რომლებიც „დაეშის“ ერთ-ერთი ლიდერის მითითებით, მოქმედებდნენ დააკავა.

ტერორიზმის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშში საქართველოს მხრიდან ტერორიზმის წინააღმდეგ განხორციელებული ბრძოლა დადებითად შეფასდა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველომ კონტრტერორისტული მიმართულებით ურყევი ჩართულობა განაგრძო და უსაფრთხოების სფეროში კვლავ ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე პარტნიორია. ამასთან, საანგარიშო პერიოდში საქართველოში ტერორისტული ინციდენტები არ დაფიქსირებულა და ამ მხრივ ქვეყანაში მშვიდი და სტაბილური გარემო არსებობდა, ხოლო სახმელეთო საზღვრისა და საზღვაო უსაფრთხოების გაძლიერების მიმართულებით, საქართველო აქტიურად მუშაობდა. ასევე, ხაზგასმულია, რომ ქვეყანას ტერორისტული ინციდენტების გამოვლენა, აღკვეთა და მათზე სათანადო რეაგირება შეუძლია.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, როგორც ტერორიზმის გამოვლინებებზე რეაგირებისა და გამოძიების მიმართულებით მთავარი

უწყება, აქტიურ კოორდინაციაში იმყოფება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ სხვა სახელმწიფო უწყებებთან.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში აღინიშნა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური სათანადოდ მომზადებული და აღჭურვილია, სამსახურის კონტრტერორისტული დანაყოფი კი შესაძლებლობების გაუმჯობესების მიმართულებით შესაბამის ძალისხმევას რეგულარულად ახორციელებს.

ევროპულმა კომისიამ საქართველოს შესახებ ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის თაობაზე გამოქვეყნებულ კომუნიკეში, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები პოზიტიურად შეაფასა. დოკუმენტში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს ანტიტერორისტული კანონმდებლობა ევროკავშირის რეგულაციებთან, საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებთან შესაბამისობაშია და ქვეყანას სრულყოფილი სამართლებრივი ჩარჩო გააჩნია ტერორიზმის დაფინანსების კრიმინალიზაციისთვის, ასევე, საქართველოს დამტკიცებული აქვს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა.

„ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის“ მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში „გლობალური ტერორიზმის ინდექსი“, ტერორიზმის გავლენის კრიტერიუმებით შეფასებისას საქართველომ ერთ-ერთი საუკეთესო პოზიცია დაიკავა, რაც 2023 წელს საქართველოში ტერორისტული ინციდენტებისა და ტერორიზმის, როგორც საფრთხის გავლენის, არარსებობას გულისხმობს.

საქართველოს წინაშე არსებული ტერორისტული საფრთხეები და გამოწვევები

2023 წელს საქართველოს წინაშე მდგარი ძირითადი ტერორისტული საფრთხეები და გამოწვევები არ შეცვლილა, კერძოდ:

საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების მიერ საქართველოში შესაძლო თავდასხმის განხორციელება;

სირიასა და ერაყში მყოფი, „დაეშის“ და „ალ-კაიდას“ წევრი საქართველოს მოქალაქეების ქვეყანაში შესაძლო დაბრუნება;

ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების/უცხოელი ტერორისტი მებრძოლების საქართველოში შესაძლო შემოსვლა, მათ შორის ქვეყნის ტერიტორიის სატრანზიტო მიზნით გამოყენება;

საქართველოდან ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის დაფინანსების ან სხვაგვარი დახმარების გაწევის მცდელობა;

ტერორისტული ორგანიზაციების წევრების/მხარდამჭერების მიერ საქართველოში მყოფი მოქალაქეების ტერორიზმში შესაძლო გადაბირება.

საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების მიერ საქართველოში შესაძლო თავდასხმის განხორციელება

2023 წელს, გასული წლების მსგავსად, საქართველო ტერორისტული ორგანიზაციებისთვის სასურველ სამოქმედო გეოგრაფიულ ლოკაციად არ იდენტიფიცირდებოდა. აღნიშნულს განაპირობებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, სხვა შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით გატარებული ზომები.

საერთაშორისო პრაქტიკამ ცხადი გახადა, რომ კონტრტერორისტული თვალსაზრისით, სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ძალისხმევისა და მზადყოფნის მიუხედავად, ტერორისტული ორგანიზაციები თავდასხმების დაგეგმვასა და განხორციელებას მაინც ახერხებდნენ.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან კონტრტერორისტული მიმართულებით გაწეული ძალისხმევის შედეგად, 2023 წელს საქართველოში ტერორისტული ორგანიზაციების მნიშვნელოვან აქტივობებს ადგილი არ ჰქონია. ქვეყანაში არ არსებობდა სტრუქტურიზებული ტერორისტული ჯგუფი, ხოლო ტერორიზმის დაფინანსების შესაძლებლობები უკიდურესად შემცირდა. საანგარიშო პერიოდში საქართველოში ტერორისტული იდეების შესაძლო მხარდამჭერების რაოდენობა კვლავ მცირე იყო.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამსახური შესაბამის ოპერატიულ ღონისძიებებს ახორციელებდა საქართველოში მყოფ უცხო ქვეყნის ცალკეულ წარმომადგენლებზე ტერორისტული თავდასხმის პრევენციის მიმართულებით. ღონისძიებების ფარგლებში, კონკრეტული პირების მოქმედებები მუდმივ რეჟიმში კონტროლდებოდა.

2023 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებისა და ტერორისტულ საქმიანობაში დახმარების ბრალდებით, საქართველოს მოქალაქე დააკავა, რომელიც 2013 წლიდან სირიაში ტერორისტული ორგანიზაციის რიგებში იბრძოდა, იყო „დაეშის“ ერთ-ერთი დაჯგუფების მეთაური და მჭიდრო კავშირი ჰქონდა აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციის ადგილზე მოქმედ ლიდერებთან.

ასევე, ტერორიზმთან შესაძლო კავშირის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და კუსტარულად დამზადებული ასაფეთქებელი მოწყობილობების მართლსაწინააღმდეგო შეძენა/შენახვის ფაქტებზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა 4 პირი (საქართველოს 2 და უცხო ქვეყნის 2 მოქალაქე) დააკავა.

სირიასა და ერაყში მყოფი, „დაეშისა“ და „ალ-კაიდას“ წევრი საქართველოს მოქალაქეების ქვეყანაში შესაძლო შემოსვლა

სირია-ერაყში მოქმედ ტერორისტულ ორგანიზაციებში გაწევრიანებული და მათ რიგებში მებრძოლი პირების, ასევე, მათი ოჯახის წევრების ე.წ. წარმოშობის ქვეყნებში დაბრუნება კვლავ სირთულეს წარმოადგენდა. მრავალი სახელმწიფოს მსგავსად, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა საქართველოსთვისაც გამოწვევად რჩებოდა. ამჟამად სირიის არაბთა რესპუბლიკაში კვლავ იმყოფებიან საქართველოს მოქალაქეები და მათი ოჯახის წევრები, რომელთა საქმიანობა შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო ტერორისტულ ორგანიზაციებთან.

საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ახლო აღმოსავლეთში მყოფ, ზემოაღნიშნული კატეგორიის საქართველოს მოქალაქეებსა და მათი ოჯახის წევრებთან დაკავშირებით, საჭირო ღონისძიებებს კვლავ მიმართავდა. აღნიშნული პირების საქართველოში დაბრუნების მცდელობის შემთხვევაში, სამსახური სისხლისსამართლებრივი გამოძიების ფარგლებში შესაბამის რეაგირებას მოახდენს.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ტერორიზმის ბრალდებით (ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანება და ტერორისტულ საქმიანობაში მისი დახმარება) პასუხისგებაში დაუსწრებლად მიეცა სირიაში მებრძოლი საქართველოს 3 მოქალაქე, რომელთა მიმართ გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. მათზე გამოცხადებულია ძებნა.

ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების/უცხოელი ტერორისტი მებრძოლების საქართველოში შესაძლო შემოსვლა, მათ შორის, ქვეყნის ტერიტორიის სატრანზიტო მიზნით გამოყენება

უცხოელი ტერორისტი მებრძოლების ან ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერების საქართველოში მოხვედრა, ან მათ მიერ სხვა ქვეყნებში გამგზავრების მიზნით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთა, ქვეყნის წინაშე არსებულ ერთ-ერთ საფრთხეს წარმოადგენდა.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით, საქართველოს საზღვრის კონტრტერორისტულ სკრინინგს მუდმივ რეჟიმში ახორციელებდა, მკაცრად კონტროლდებოდა ქვეყნის ტერიტორიაზე არალეგალურად შემოღწევის მიზნით გამოყენებადი მარშრუტები და ე.წ. დერეფნები. სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, თავიდან იქნა აცილებული საქართველოში ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული პირების მოხვედრა, ხოლო საეჭვო

პირების შესახებ ინფორმაცია ოპრეატიულად გადაეცა პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებს.

საგულისხმოა, რომ საქართველო კონტრტერორისტული მიმართულებით საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას განაგრძობდა. აღნიშნულის ფარგლებში, გაეროს უშიშროების საბჭოს 1373 (2001) რეზოლუციის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში, ტერორიზმთან დაკავშირებული სანქციების ეროვნულ სიაში შეყვანილ იქნა საქართველოს ორი მოქალაქე.

საქართველოდან ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის დაფინანსების ან სხვაგვარი დახმარების გაწევის მცდელობა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ტერორისტული აქტივობების დაფინანსების ან ტერორისტული ორგანიზაციებისთვის სხვაგვარი დახმარების გაწევის ფაქტების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით, საჭირო ზომებს ატარებდა, ხოლო ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირის თვალსაზრისით საეჭვო ტრანზაქციებზე მუდმივი მონიტორინგი მიმდინარეობდა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მიღებული შესაბამისი ზომების, სხვა სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობისა და საერთაშორისო პარტნიორებთან კოორდინაციის შედეგად, საანგარიშო პერიოდში საქართველოდან ტერორიზმის დაფინანსების ან ტერორისტული ორგანიზაციებისთვის სხვაგვარი დახმარების გაწევის ფაქტები არ დაფიქსირებულა.

2023 წელს საქართველოს მთავრობამ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასების ეროვნული ანგარიში (NRA) დაამტკიცა. დოკუმენტში გაანალიზებული და შეფასებულია ქვეყანაში ტერორიზმის დაფინანსების რისკები, ხოლო დასკვნის სახით ნათქვამია, რომ საქართველოში ტერორიზმის დაფინანსების რისკი დაბალია.

ტერორისტული ორგანიზაციების წევრების/მხარდამჭერების მიერ საქართველოში მყოფი მოქალაქეების ტერორიზმში შესაძლო გადაბირება

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საქართველოში ტერორისტული იდეოლოგიის პროპაგანდის შემთხვევების იდენტიფიცირებისა და აღკვეთის მიზნით, შესაბამის ღონისძიებებს მუდმივ რეჟიმში ახორციელებდა, მათ შორის, კიბერსივრცეში რადიკალური იდეების სავარაუდო გავრცელების ფაქტებზე რეგულარული მონიტორინგი ხორციელდებოდა, გამოვლენილ შემთხვევებზე კი შესაბამისი რეაგირება ხდებოდა.

გამოწვევას წარმოადგენდა ქვეყანაში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ყოფნა, რომლებიც, სავარაუდოდ, საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების იდეებს იზიარებდნენ.

აღნიშნული კატეგორიის რამდენიმე ათეული პირის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი პრევენციული ზომები გატარდა, რის შედეგადაც, მათ ქვეყანა დატოვეს.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარება, ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებული უსაფრთხოების გარემოს კონტექსტში, ტერორისტული მიმართულებით გამოწვევას კვლავ წარმოადგენდა.

სისხლის სამართლის საქმეები

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულმა ცენტრმა გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 13 საქმეზე, სისხლისსამართლებრივი დევნა კი დაიწყო 16 პირის მიმართ.

საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია

საანგარიშო პერიოდში 2022-2026 წლების ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელება წარმატებით გრძელდებოდა. იმპლემენტაციის პროცესის ზედამხედველობას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისია ახორციელებდა. 2023 წელს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ხელმძღვანელობით, კომისიის რიგით მეშვიდე სხდომა გაიმართა, რომელზეც განიხილეს სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში. სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მეორე წელი კომისიამ დადებითად შეაფასა - ამოცანების დიდი ნაწილი ყველა შესაბამისი უწყების მიერ წარმატებით შესრულდა. ამასთან, კომისიამ უწყებათაშორისი თემატური სამუშაო ჯგუფების საქმიანობა განიხილა და ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ახალი პრიორიტეტები განსაზღვრა.

სპეციალური ოპერაციების ძალები

2023 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სპეციალური ოპერაციების ძალების შესაძლებლობების განვითარებას და მათი მზადყოფნის დონის შენარჩუნებას.

საანგარიშო პერიოდში, სისტემატურად მიმდინარეობდა სპეციალური ოპერაციების შესაბამისი დანაყოფების გეგმური წვრთნები საცეცხლე და ტაქტიკური, ანტიტერორისტული, სნაიპერული და სამთო მომზადების კუთხით. მომზადდა და გადამზადდა ჯავშანმანქანის ეკიპაჟები, უპილოტო საფრენი აპარატების ოპერატორები.

სპეციალური ოპერაციების ძალების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების საკითხებზე გამართულ არაერთ უწყებათაშორის სწავლებაში, რომლებიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და აშშ-ის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) ორგანიზებითა და მხარდაჭერით ჩატარდა.

2023 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტმა რეაგირება მოახდინა 191 შეტყობინებაზე, რის შედეგად, ცალკეულ შემთხვევებში, ამოღებულ იქნა სხვადასხვა სახის საბრძოლო და ასაფეთქებელი მასალა. ამავე დროს, საანგარიშო პერიოდში, ცალკეული და სტრატეგიული ობიექტების პასპორტიზაცია (განახლება), საევაკუაციო მარშრუტებისა და სამობილიზაციო ადგილების მონიტორინგი განხორციელდა და განახლდა ტოპოგრაფიული რუკები.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კორუფცია მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის. იგი აფერხებს ქვეყნის დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის პროცესს, ხელს უშლის ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებას, ამცირებს საჯარო უწყებების საქმიანობის ეფექტიანობას, ზრდის მოქალაქეთა და კერძო სექტორის უნდობლობას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ.

კორუფცია უარყოფით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის საგარეო იმიჯსა და საინვესტიციო გარემოზე, რაც შესაბამისად აისახება სხვადასხვა ქვეყანასთან, საერთაშორისო ორგანიზაციასა და ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობებზე.

ამასთან, სამოხელეო და კორუფციულ დანაშაულში ჩართული საჯარო მოხელეები გაცილებით მოწყვლადები არიან უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა თუ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიმართ და მაღალია მათ მიერ ამ პირთა საკუთარი მიზნებისთვის გამოყენების ალბათობა.

საანგარიშო პერიოდში, არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი პრევენცია წარმოადგენდა.

კორუფციული დანაშაულის აღკვეთის და მასში ჩართული საჯარო მოხელეების გამოვლენის მიზნით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო განაგრძობდა ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების გატარებას.

2023 წელს სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 47 საქმეზე და ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცა 72 პირი ისეთი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის გამო, როგორიცაა ქრთამის აღება, ქრთამის

მიცემა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ზეგავლენით ვაჭრობა, უკანონო სამეწარმეო საქმიანობა და სხვა.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ კოორდინირებულად განხორციელებული პროაქტიული ქმედებების შედეგად, საქართველო კვლავ მოწინავე ადგილს იკავებს საერთაშორისო რეიტინგებსა და შეფასებებში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის" მიერ მომზადებული კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI) თანახმად, 2023 წელს საქართველო 180 ქვეყანას შორის 53 ქულით 49-ე ადგილს იკავებს. აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო უსწრებს ევროკავშირის წევრ 6 ქვეყანას.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, კორუფციის კონტროლის რეიტინგში საქართველომ შეფასების 100%-იანი სისტემით 72.7% დაიმსახურა. კორუფციის კონტროლით საქართველო უსწრებს ევროკავშირის და ნატოს წევრ 14 ქვეყანას. ამავე მონაცემების მიხედვით, საქართველო რეგიონში ლიდერი სახელმწიფოა, ხოლო პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებს ჩამორჩება.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველო მექრთამეობის შემთხვევების სიმცირით მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს და ევროპის საუკეთესო ათეულშია.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო, კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებდა სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგს, სახელმწიფო ქონების გასხვისების კანონიერებისა და საბიუჯეტო სახსრების გამოყენების მიზნობრიობის შემოწმებას, ასევე, ანტიკორუფციული კუთხით საკანონმდებლო აქტების პროექტების შეფასებას. მუდმივ რეჟიმში ხორციელდებოდა საჯარო სექტორში შესაძლო კორუფციული რისკების ანალიზი და მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირება.

საანგარიშო წლის განმავლობაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ძალისხმევა მიმართული იყო სამოხელეო დანაშაულის პრევენციის, მათ შორის კორუფციული ფაქტების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა-აღკვეთის მიმართულებით.

2023 წელს ანტიკორუფციული სააგენტოს შემადგენლობაში შემავალმა კორუფციის პრევენციის სამსახურმა კორუფციულ დანაშაულებზე საჯარო მოხელეების ცნობიერების ასამაღლებლად, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული და ევროპის საბჭოს მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში შეხვედრები გამართა ცალკეული რაიონების მუნიციპალიტეტების მერიისა და საკრებულოების წარმომადგენლებთან. შედეგად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და უცხოელი ექსპერტების ჩართულობით, გადამზადდა ადგილობრივი თვითმმართველობის 77 თანამშრომელი.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ კორუფციის პრევენციის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შედეგად, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში მოქალაქეთა ჩართულობა.

2023 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტოში შესაძლო კორუფციული დანაშაულების თაობაზე მოქალაქეთა მხრიდან შემოსულია 47 შეტყობინება, რომელთაგან 14-ის საფუძველზე დაიწყო გამოძიება, 12 ქვემდებრეობით გადაიგზავნა შესაბამის უწყებებში, 1 დაერთო სისხლის სამართლის საქმეს, 13 არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს, ხოლო 7-ზე კვლავ მიმდინარეობს შესწავლის პროცესი.

საანგარიშო პერიოდში, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობისა და თანამშრომელთა კვალფიკაციის ამაღლების მიზნით, ანტიკორუფციული სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებაში. ასევე, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, 2023 წელს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, ნატოს, გაეროსა და აშშ-ის საელჩოს მიერ მხარდაჭერილ პროგრამებში, რომელთა ფარგლებშიც არაერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა და ღონისძიება განხორციელდა.

სამართლებრივი ბაზის განვითარება და სასამართლოებთან ურთიერთობა

სამსახურის სათანადო ფუნქციონირებისა და კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სამართლებრივი ბაზის დახვეწას, ასევე, გრძელდებოდა შესაბამისი სამართლებრივი აქტების შემუშავების პროცესი.

2023 წელს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მოამზადა და გამოსცა 150-ზე მეტი ახალი სამართლებრივი აქტი და კომპეტენციის გათვალისწინებით, საკუთარი პოზიცია დააფიქსირა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ შემუშავებულ 300-ზე მეტ სამართლებრივი აქტის პროექტზე.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა უშუალო ავტორობით მოამზადა 3 კანონისა და 20-მდე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტი. ამასთან, საიდუმლო ნორმატიული აქტების შემუშავების მიმართულებით სამსახურმა, პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, ნდობის ჯგუფს პროაქტიულ რეჟიმში გასაცნობად გაუგზავნა სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული შესაბამისი საიდუმლო დებულებები.

საანგარიშო პერიოდში უწყვეტად მიმდინარეობდა შიდასამსახურებრივი რეგულაციების შემუშავებისა და დახვეწის პროცესი.

2023 წელს სამსახურის დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის სამმართველოს დებულებასა და შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილებებით, სამართლებრივად განმტკიცდა და ნორმატიული საფუძველი შეიძინა იმ საუკეთესო პრაქტიკამ და სტანდარტმა, რაც უკავშირდება იზოლატორში მოთავსებული პირის უფლებათა დაცვას. მაგალითად, ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებასთან დაკავშირებული წესები სამართლებრივად გავრცელდა მთლიან სტრუქტურულ ქვედანაყოფზე. ანალოგიურად დარეგულირდა სხვა რიგი საკითხებიც, მათ შორის, შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ვალდებულება, არ შეაჩეროს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პარლამენტის წევრის, სასამართლოს და სხვა შესაბამის პირთა სახელზე გაგზავნილი და მათგან მიღებული წერილები, ხოლო საჩივარი დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს ადრესატს და სხვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, სამსახური უზრუნველყოფდა შესაბამისი სამართლებრივი მოქმედებების განხორციელებას. გამოიცა სამსახურის უფროსის 2023 წლის 23 იანვრის N13 ბრძანება, რომლითაც განსაიდუმლოვდა სამსახურში დაცული ზოგიერთი ინფორმაცია და მიეწოდა გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამის კომიტეტს.

2023 წელს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საკონტროლო დავალებების ფარგლებში, სამსახურის მხრიდან უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი ანგარიშვალდებულების განხორციელება და ინფორმაციის შეუფერხებლად მიწოდება მთავრობის სამართლებრივი აქტების გარდამავალი რეგულაციებით შესასრულებელი ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ.

2023 წელს სამსახური აქტიურად მონაწილეობდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის საქმიანობაში, რომელიც, მათ შორის, უკავშირდებოდა საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის 2023 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების ფარგლებში სხვადასხვა სამართლებრივი აქტებისა და დოკუმენტების პროექტების განხილვას და შესაბამისი დასკვნების მომზადებას.

ცვლილებები შევიდა სამსახურის უფროსის 2020 წლის 31 იანვრის N16 ბრძანებაში, რომლითაც კიდევ უფრო დაიხვეწა და დაზუსტდა სამსახურში მისაღები კანდიდატების ტესტირების პროცედურები.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგა საკანონმდებლო რეგულაციების ევროკავშირის სტანდარტებსა და პროცედურებთან დასაახლოებლად.

„საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის უსაფრთხოების პროცედურების შესახებ“ შეთანხმების იმპლემენტაციისათვის, გატარდა შესაბამისი ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით, საქართველოს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2023 წლის 6 აპრილის №19 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და სამსახურის ავტორობით შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტები. ცვლილებების მიხედვით, ევროკავშირის საიდუმლო ინფორმაციის დაცვაზე დგინდება ევროკავშირის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით განსაზღვრული სტანდარტები, ხოლო მთავარ პასუხისმგებელ უწყებად განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

ასევე, ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების მიზნით, გაგრძელდა სამსახურის ჩართულობა საქართველოს პარლამენტში შექმნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში, რომლის ფარგლებში მომზადებული დოკუმენტისა და სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული აქტივობების დანერგვის მიზნით სამსახურმა განახორციელა სათანადო ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში, ასევე, მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა საქართველოს საერთო სასამართლოებთან ურთიერთობის კუთხით.

შესაბამისი განჩინებების საფუძველზე, საერთო სასამართლოებს სამსახურის მიერ მიეწოდა საქმეების განხილვისთვის საჭირო საიდუმლო და არასაიდუმლო ინფორმაცია/მტკიცებულებები (საერთო ჯამში, 1500-ზე მეტი ინფორმაცია/მტკიცებულება). ამასთან, დამუშავდა სასამართლოებიდან შემოსული 900-ზე მეტი დოკუმენტი. 2023 წელს სამსახურს წარმოებაში ჰქონდა 40 სამოქალაქო და ადმინისტრაციული სასამართლო დავა, რომელთაგან 10 - დასრულდა სხვადასხვა ინსტანციაში, ხოლო 1 სამოქალაქო ხასიათის დავა გადაწყდა მხარესთან შეთანხმების საფუძველზე, სარჩელის სასამართლოში აღძვრის გარეშე. სამსახურის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე 1 პროცესში.

საანგარიშო წლის განმავლობაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში შემოვიდა 6 ადმინისტრაციული საჩივარი, რომლებზეც განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირება.

ანგარიშვალდებულება, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ანგარიშვალდებულება

2023 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, კანონით დადგენილი წესითა და განსაზღვრულ ვადებში, თანამშრომლობდა ზედამხედველობის განმახორციელებელ შესაბამის ორგანიზაციებთან.

როგორც საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულმა უწყებამ, საანგარიშო პერიოდში სამსახურმა მონაწილეობა მიიღო პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების, ასევე ნდობის ჯგუფის ფარგლებში გამართულ სხდომებში.

2023 წელს სამსახურის ხელმძღვანელმა პირებმა მონაწილეობა მიიღეს ნდობის ჯგუფის 5 შეხვედრაში, მათ შორის, 2023 წლის 6 აპრილს სამსახურის უფროსმა ნდობის ჯგუფს წარუდგინა ინფორმაცია სამსახურის მიერ განხორციელებული საიდუმლო საქმიანობისა და სპეციალური პროგრამების შესახებ.

ამასთან, ნდობის ჯგუფის ფორმატში გამართული შეხვედრების ფარგლებში, სამსახურის უფროსის მოადგილეებმა და შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებმა პარლამენტის წევრებს მიაწოდეს ინფორმაცია ოკუპირებულ რეგიონებში და საოკუპაციო ხაზზე უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარების, სამსახურის კონტრსადაზვერვო და კონტრტერორისტული საქმიანობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა მიიღო 17 სადეპუტატო შეკითხვა, რაზეც კანონმდებლობის შესაბამისად, სათანადო რეაგირება განხორციელდა.

კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, საანგარიშო პერიოდში სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის ნდობის ჯგუფს წარუდგინა სააგენტოს საქმიანობის შესაბამისი სტატისტიკური და განზოგადებული ანგარიში.

2023 წლის 10 დეკემბერს სამსახურის მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული შესაბამისი ანგარიში წარედგინა საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტს. აღნიშნული ანგარიში ასევე გადაიგზავნა სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში.

საანგარიშო პერიოდში სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა სახალხო დამცველთან. 2023 წელს შესაბამისი რეაგირება განხორციელდა სახალხო დამცველის მიერ, მისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოგზავნილ 28 კორესპონდენციაზე და მას კანონმდებლობის დაცვით მიეწოდა მოთხოვნილი, მათ შორის, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის დროებითი განთავსების იზოლატორში განხორციელდა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთა ვიზიტი. სახალხო დამცველისთვის შექმნილი იყო ყველა აუცილებელი პირობა იზოლატორის საქმიანობის შესამოწმებლად. შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, ცვლილება შევიდა სამსახურის უფროსის 2017 წლის 5 სექტემბრის №84 ბრძანებაში. კერძოდ, კიდევ უფრო დაიხვეწა დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებული პირის მიერ ადვოკატის მოთხოვნის პროცედურები და შემუშავდა შესაბამისი სარეგისტრაციო ჟურნალი, რომელშიც ცალკე აღინიშნება დაკავებულის მიერ ადვოკატის

მოთხოვნის/შეტყობინების ზუსტი დრო, ვის ეცნობა დაკავებული პირის მიერ ადვოკატის მოთხოვნის თაობაზე, ვინ განახორციელა დაკავებული პირის მიერ ადვოკატის მოთხოვნაზე რეაგირება და სხვა.

საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, განაგრძობდა კონტროლის ღონისძიებების განხორციელებას. კერძოდ, დასრულდა სამსახურის სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ელექტრონული კომუნიკაციების მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმება, განხორციელდა ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შედეგად მოპოვებული მასალების ინიციატორისთვის გადაცემის პროცესში მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმება.

ინსპექტირების განხორციელებისას აღნიშნული სამსახურის წარმომადგენლებს ჰქონდათ შესაძლებლობა, შესულიყვნენ სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შეზღუდული დაშვების არეალში და მიმდინარე რეჟიმში შეემოწმებინათ სააგენტოს საქმიანობა, მისი მარეგულირებელი სამართლებრივი დოკუმენტები (მათ შორის, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი) და მიეღოთ ინფორმაცია ფარული საგამოძიებო მოქმედებების მიზნებისთვის გამოყენებული ტექნიკური ინფრასტრუქტურის შესახებ.

შემოწმებების შედეგად სააგენტოს მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა. სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს მიეცა სავალდებულო ტექნიკური დავალებები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ცალკეული ასპექტების გასაუმჯობესებლად.

საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა დაიწყო სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემის საშუალებით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112"-ში განხორციელებული შეტყობინების ინიციატორი მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის გეოლოკაციის ავტომატურ რეჟიმში განსაზღვრის ლოგირების მონაცემების პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის რეალურ დროში მიწოდების ვალდებულების შესრულების საკითხის შესწავლა.

2023 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა, ასევე, გეგმურად შეამოწმა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორში ვიდეოთვალთვალის განხორციელების გზით მონაცემთა დამუშავების კანონიერება და დადებითად შეაფასა სამსახურის მიერ სისტემის დასახვეწად მიღებული ზომები.

სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების წარმოების პროცესში სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს

პროკურატურასთან, როგორც საგამოძიებო ზედამხედველობის განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებასთან.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად იყენებდა შიდა კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმებს. მათ შორის, სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულ პირთა უფლებების დაცვას. აღნიშნული მიმართულებით, 2023 წელს სამსახურის შესაბამისი დანაყოფი უწყვეტ რეჟიმში ახდენდა შიდა მონიტორინგს, რის შედეგადაც რაიმე სახის დარღვევა არ გამოვლენილა.

შიდა კონტროლის მექანიზმების ფარგლებში, ხაზგასასმელია საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალური ინსპექციის მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, ასევე, სამსახურის მოსამსახურეთა მიერ შესაძლო დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები. მიმდინარეობდა სამსახურის სტრუქტურული ერთეულების მიერ მატერიალურ-ფინანსური რესურსების განკარგვის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის შემოწმება, ისევე როგორც სამსახურის საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალურმა ინსპექციამ, სამსახურის სისტემაში ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმების შესაძლო დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების, შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამოვლენისა და მათზე სათანადო რეაგირების მიზნით, განახორციელა 68 სამსახურებრივი შემოწმება. მომზადებული დასკვნების საფუძველზე, 19 თანამშრომლის მიმართ გატარდა სხვადასხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები. კერძოდ, თანამდებობიდან ჩამოქვეითდა - 1, სასტიკი საყვედური გამოეცხადა - 4, საყვედური - 10 და შენიშვნა მიეცა 4 თანამშრომელს. ამასთან, სარეკომენდაციო ხასიათის მითითებები მიეცა 2 მოსამსახურეს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო განაგრძობდა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებულ კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას. აღნიშნულ პროცესში სამსახურის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უზრუნველყოფის საკითხებს.

2023 წელს უფლებამოსილმა საგამოძიებო ორგანოებმა სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოში, საერთო ჯამში, წარადგინეს მოსამართლის/ზედამხედველი მოსამართლის 1933 განჩინება/ბრძანება ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და

ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელების თაობაზე და პროკურორის 53 მოტივირებული დადგენილება გადაუდებელი წესით ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობა კონტროლდებოდა საქართველოს პარლამენტის მიერ საპარლამენტო კონტროლის ფორმების გამოყენებით. ამასთან, სააგენტოს საქმიანობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ექვემდებარებოდა პრემიერ-მინისტრის, სასამართლოს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის კონტროლს.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

2023 წელს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე სამსახურში შევიდა 66 განცხადება (მათ შორის მოქალაქეებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მხრიდან), რომელთაგან დაკმაყოფილდა - 49, შემდგომი რეაგირებისათვის გადაიგზავნა - 6, ხოლო შესაბამისი კანონმდებლობის, მათ შორის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების, მოთხოვნებიდან გამომდინარე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 4 და არ დაკმაყოფილდა 5 განცხადება, ხოლო 2 განცხადება განუხილველად იქნა დატოვებული.

საანგარიშო პერიოდში მოქალაქეების მიერ ინფორმაციის მიწოდებისა თუ გამოთხოვის მიზნით, აქტიურად იყო გამოყენებული სამსახურში მოქმედი ცხელი ხაზი - „123“, სადაც სულ შევიდა 1400-ზე მეტი განაცხადი, რაზეც სამსახურის მხრიდან განხორციელდა სათანადო რეაგირება.

2023 წელს მუდმივ რეჟიმში მუშავდებოდა სამსახურის ელექტრონული გრაფის საშუალებით (info.ssg.gov.ge) მოწოდებული ინფორმაცია. საერთო ჯამში, შესაბამისი რეაგირება განხორციელდა 330-ზე მეტ ელექტრონულ განცხადებაზე. სამსახურმა რეაგირება მოახდინა მოქალაქეების, სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციის, მათ შორის, სახალხო დამცველის მხრიდან მიღებულ 4 340 კორესპონდენციაზე.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე (ssg.gov.ge) აქტიურად ქვეყნდებოდა ინფორმაცია უწყების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. 2023 წლის განმავლობაში გამოქვეყნდა 80-ზე მეტი სხვადასხვა ინფორმაცია.

ასევე, სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა მედიასა და სხვა საინფორმაციო საშუალებებთან, რომელთაც სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ობიექტურ და დადასტურებულ ინფორმაციას აწვდიდა.

საერთაშორისო თანამშრომლობა და უწყებათაშორისი კოორდინაცია

საერთაშორისო თანამშრომლობა

2023 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აგრძელებდა ეფექტიან და მჭიდრო თანამშრომლობას მეგობარი სახელმწიფოებისა და სტრატეგიული პარტნიორების შესაბამის უწყებებთან, რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამ კუთხით სამსახურის მხრიდან არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა.

სტრატეგიულ მოკავშირეებთან თანამშრომლობის ფარგლებში, სამსახურის ხელმძღვანელი პირები სისტემატურ რეჟიმში ახდენდნენ პარტნიორებთან ინფორმაციის გაცვლას უსაფრთხოების გარემოს თაობაზე, მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესების, მოსალოდნელი რისკების, რეგიონში განვითარებული სხვადასხვა მოვლენისა და მათთან დაკავშირებული საფრთხეებისა და გამოწვევების შესახებ. სამსახურის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიმდინარეობდა სტრატეგიულ მოკავშირეებთან სხვადასხვა ფორმატში თანამშრომლობა და კონკრეტულ მიმართულებებზე მჭიდრო კოორდინაცია, მათ შორის, ტერორიზმის, კიბერუსაფრთხოებისა და ჰიბრიდული საფრთხეების კუთხით.

2023 წელს არაერთი მაღალი დონის შეხვედრა გაიმართა დიპლომატიური მისიების, პარტნიორი ქვეყნების შესაბამისი უწყებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლებთან. ასევე, მნიშვნელოვანი იყო ექსპერტული შეხვედრებისა და ორმხრივი სამუშაო ჯგუფების ფარგლებში მიმდინარე თანამშრომლობა, რომელიც ხელს უწყობდა უსაფრთხოების სფეროში ახალი პროექტებისა და ინიციატივების შემუშავებას.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა კონტრტერორისტულ საკითხებზე **„ევროპოლთან“** თანამშრომლობა გააფართოვა. სამსახურის ინიციატივით, 2023 წლის დეკემბერში საქართველო გახდა **„ევროპოლის“** ოპერატიული კონტრტერორისტული ანალიზის კიდევ ერთი პროექტის, **„ჰიდრას“** წევრი.

2023 წლის მარტში სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ჰააგაში (ნიდერლანდების სამეფო), „ევროპოლის“ შტაბ-ბინაში „ტერორიზმის დაფინანსების მიდევნების პროგრამის“ შეხვედრაში. თავის მხრივ, 2023 წლის ნოემბერში განხორციელდა

„ევროპოლის“ კონტრტერორისტული ცენტრის დელეგაციის ვიზიტი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში.

სამსახური დიდ ყურადღებას უთმობდა საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის ეტაპობრივად განვითარებას ნატოსა და ევროკავშირის წევრ და სხვა პარტნიორ სახელმწიფოებთან საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების, აგრეთვე სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გაფორმების გზით.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა შესაბამისი პროცედურები განახორციელა საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ 7 საერთაშორისო შეთანხმების პროექტსა და უწყებათაშორისი თანამშრომლობის შესახებ 2 შეთანხმების პროექტზე. 2023 წლის 19 დეკემბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ხელი მოაწერა „საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმებას.

გარდა ამისა, საანგარიშო წლის განმავლობაში სამსახურმა, სამართლებრივი და უსაფრთხოების კუთხით, შესაბამისი რეაგირება განახორციელა საერთაშორისო შეთანხმების 60-მდე პროექტზე, მათ შორის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, თავდაცვის, ტრანსპორტისა და საჰაერო მიმოსვლის, საბაჟო, რეადმისიის, უვიზო მიმოსვლისა და სხვა სფეროებში.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის პრიორიტეტულია პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება და მათ მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა სახის ღონისძიებებსა თუ სასწავლო კურსებში მონაწილეობის მიღება.

2023 წელს სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI), ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროსა (INL) და ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების სწავლებათა ევროპული ცენტრის მიერ ორგანიზებულ კურსებში. ასევე, სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ აშშ-ის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) მიერ ქ. ბათუმში ორგანიზებულ საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის რიგით მე-2 და მე-3 მრავალუწყებრივ სწავლებებში (JMOC TTX N2 და JMOC TTX N3).

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და DTRA-ის ერთობლივი ორგანიზებით, ქ.თბილისში ჩატარდა ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ (ქბრბ) ეროვნულ კრიზისებზე რეაგირების მნიშვნელოვანი უწყებათაშორისი საველე და სამაგიდე სწავლებების სერია, რომელშიც მონაწილეობდა 6 სხვადასხვა უწყების 120-ზე მეტი წარმომადგენელი. გარდა ამისა, 2023 წელს აშშ-ის ჯორჯიის შტატის ქ. პერიში

შედგა ქბრბ საფრთხეებზე მორეაგირე უწყებების მაღალი დონის ვიზიტი და ჩატარდა უწყებათაშორისი ტრენინგი. ვიზიტის ფარგლებში მხარეებს შორის ხელი მოეწერა ქბრბ შესაძლებლობების მდგრადობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს.

2023 წელს სამსახურისთვის მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირსა და მის სააგენტოებთან სამართალდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობა, მათ შორის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში.

ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით 2023 წელს, როგორც საქართველოში, ასევე ევროკავშირში საქართველოს მისიაში (ქ. ბრიუსელი, ბელგია), ევროკავშირის დელეგაციის მიერ განხორციელდა ვიზიტები, რომელთა მიზანი იყო საქართველოში არსებული საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ევროკავშირის დელეგაციის მიერ წარმოდგენილ შეფასებაში არაერთი პოზიტიური ასპექტი დაფიქსირდა, ასევე გაიცა გარკვეული სახის რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციების საკანონმდებლო დონეზე იმპლემენტაციის მიზნით, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონში მომზადდა შესაბამისი ცვლილებები, რომლებიც საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის 15 დეკემბერს მიიღო.

გარდა ამისა, სამსახურის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ ევროკავშირი-ევროპის საბჭოს ერთობლივი რეგიონული პროექტის „CyberEast“-ის ფარგლებში განხორციელებულ სწავლებებში.

სამსახური წარმატებით განაგრძობდა ევროკავშირის ქბრბ რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ცენტრების ინიციატივასთან თანამშრომლობას. როგორც აღნიშნული ინიციატივის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული სამდივნოს (აერთიანებს 10 ქვეყანას) მასპინძელი მხარე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტების განხორციელებასა და ახალი აქტივობების დაგეგმვაში.

2023 წელს სამსახური აქტიურად მონაწილეობდა ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმების იმპლემენტაციისა და სათანადო დოკუმენტების შემუშავების პროცესში, ასევე, ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსახორციელებელ აქტივობებში, უსაფრთხოების საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგის რიგით მე-5 შეხვედრაში.

სამსახურისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა ნატოსთან თანამშრომლობა. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ ნატოს ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობაში.

სამსახური ჩართული იყო ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტების (SNGP) იმპლემენტაციის პროცესში. კერძოდ, SNGP-ის სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლისა და უსაფრთხო კომუნიკაციების ინიციატივის ფარგლებში ნატოს წარმომადგენლებთან გაიმართა სამი შეხვედრა. ასევე გაიმართა შეხვედრა SNGP-ის ქბრბ ინციდენტებზე რეაგირების შესაძლებლობების განვითარებისა და უწყებათშორისი კოორდინაციის ახალი ინიციატივის ფარგლებში, სადაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წამყვანი უწყებაა.

2023 წელს ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ფარგლებში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელობით, ალიანსთან თავდაცვისა და თავსებადობის შესაძლებლობების გაძლიერების და საქართველოში ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) მასალების ნებისმიერი უკანონო გამოყენების აღკვეთის, საპასუხო ქმედების განხორციელებისა და მიყენებული ზიანის აღდგენის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდა ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს ახალი ერთიანი მომსახურების ცენტრის შექმნას სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ბაზაზე და მისი ტექნიკური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფას.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ნატოს ინდივიდუალური პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამის (IPCP) ფარგლებში გამართულ სამ საგანმანათლებლო პროგრამაში.

ასევე, 2023 წელს, სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ანკარაში გამართულ ნატოს ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში ექსპერტთა კონფერენციაში.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა წარადგინა ინფორმაცია წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) ფარგლებში სახელმწიფო უსაფრთხოების, ტერორიზმთან ბრძოლისა და კიბერუსაფრთხოების სფეროში განხორციელებულ აქტივობებზე.

საქართველო არის „დაეშის“ წინააღმდეგ გლობალური კოალიციის აქტიური წევრი და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაში, მათ შორის გლობალური კოალიციისა და მისი კომუნიკაციების, ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო და უცხოელ ტერორისტ მებრძოლთა წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფებში ჩართულობით. ეს ფაქტი პოზიტიურად აღნიშნა ევროპულმა კომისიამ საქართველოსთან დაკავშირებით ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ 2023 წლის 8 ნოემბერს გამოქვეყნებულ კომუნიკეში. აღსანიშნავია, რომ სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის წარმომადგენლებმა 2023 წლის მარტსა და ოქტომბერში მონაწილეობა მიიღეს ქ.ლონდონსა და ქ.სტამბოლში გამართულ გლობალური კოალიციის კომუნიკაციებისა (CWG) და უცხოელ ტერორისტ მებრძოლთა წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში.

2023 წლის ივნისში სამსახურის მაღალი დონის დელეგაციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ქ.ნიუ-იორკში (აშშ) გამართულ გაეროს კონტრტერორისტულ კვირეულში. აღნიშნული კვირეულის ფარგლებში, ქართულმა დელეგაციამ კონტრტერორისტული უწყებების ხელმძღვანელთა მესამე მაღალი დონის კონფერენციაზე ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში ქართული გამოცდილების შესახებ ინფორმაცია წარადგინა, ასევე აქტიურად ჩაერთო გაეროს კონტრტერორისტული სტრატეგიის მე-8 მიმოხილვასა და სხვა ღონისძიებებში.

საანგარიშო პერიოდში სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, მუდმივ რეჟიმში ამზადებდა ინფორმაციას/ანგარიშებს საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარებული გაეროსა და ევროპის საბჭოს საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით, ასევე გაეროს უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის რეზოლუციებით, ეუთოს ფარგლებში მიღებული დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულებების/რეკომენდაციების შესრულების თაობაზე და აწვდიდა მას შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მათ სააგენტოებს.

უწყებათაშორისი თანამშრომლობა და კოორდინაცია

საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, მათი პრევენციისა და განეიტრალების მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო სტრუქტურებს შორის კოორდინირებული მოქმედების და უწყებათაშორისი თანამშრომლობის მექანიზმების დახვეწას.

2023 წლის დეკემბერში სამსახურის ორგანიზებით და ხელმძღვანელობით, „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს" მეშვიდე სხდომა გაიმართა. საბჭოს წევრებმა ქბრბ საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის ფარგლებში 2023 წელს შესრულებულ აქტივობებსა და მიღწეულ შედეგებზე ანგარიშები წარადგინეს, ასევე, 2024-2026 წლების ქბრბ საფრთხეების შემცირების ეროვნული სამოქმედო გეგმა დაამტკიცეს. უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრის, თავდაცვის მინისტრისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილეებმა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსმა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა. სხდომაში ასევე მონაწილეობდნენ აშშ-ის მისიის ხელმძღვანელის მოადგილე, ევროკავშირის დელეგაციის თანამშრომლობისა და დახმარების პროგრამების ხელმძღვანელის მოადგილე, ევროკავშირის ქბრბ რისკების შემცირების ინიციატივის რეგიონული კოორდინატორი და სხვადასხვა უწყების 60-მდე წარმომადგენელი.

2023 წლის 26 იანვარს, სამოხელეო დანაშაულების წინააღმდეგ ქმედითი ნაბიჯების გადადგმის მიზნით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, საქართველოს პროკურატურას, იუსტიციის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილემ მონაწილეობა მიიღო აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში შექმნილი პრევენციის სპეციალური საბჭოს პირველ სხდომაში, რომელიც 2023 წლის 21 ივნისს გაიმართა.

საანგარიშო პერიოდში სამსახური აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა უწყებათშორისი კომისიისა და საბჭოს მუშაობაში, კერძოდ, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის მუდმივმოქმედ უწყებათშორის კომისიაში; ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათშორის საკოორდინაციო საბჭოში; მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიაში; ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორის კომისიაში; ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის საქმიანობაში; ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით შექმნილ უწყებათშორის სამთავრობო კომისიაში; საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიებში; ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022–2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის; საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის 2021–2024 წლების სამოქმედო გეგმისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ინტეგრირებული მართვის 2023-2027 წლების სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელებასა და სხვა უწყებათშორის მექანიზმებში.

2023 წლის ნოემბერში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ორგანიზებით გამართულ ფართომასშტაბიან უწყებათაშორის სამეთაურო-საშტაბო სწავლებაში „დიდგორი 2023“ აქტიური მონაწილეობა მიიღეს სამსახურის შესაბამისმა წარმომადგენლებმა. ამასთან, სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ 2023 წლის აგვისტოსა და სექტემბერში საქართველოში ჩატარებულ მრავალეროვნულ სწავლებაში - „მტკიცე სული - 2023“. გარდა ამისა, 2023 წლის თებერვალში საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის თანაორგანიზებით გაიმართა უწყებათაშორისი თანამშრომლობის ფორუმი, რომელშიც ასევე მონაწილეობდნენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები.

სამსახური წარმატებით აგრძელებდა „სამართალდამცავ სფეროში უწყებათშორისი თანამშრომლობის ეფექტურობის ამაღლების შესახებ“ 2015 წლის 21 სექტემბერს

ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში არსებულ თანამშრომლობას მემორანდუმის ხელმომწერ სხვა უწყებებთან, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა, ფინანსთა სამინისტროებთან, საქართველოს პროკურატურასა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან. ამასთან, სამსახური აქტიურად იყო ჩართული „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ ეროვნული სტრატეგიის (2023-2026 წწ.), მისი სამოქმედო გეგმის, ასევე, საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასების ახალი ანგარიშის მომზადებაში. აღნიშნული დოკუმენტები საქართველოს მთავრობამ 2023 წელს დაამტკიცა.

მდგრადობა და ინსტიტუციური განვითარება

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის, მისი შემდგომი განვითარებისა და ინსტიტუციური მდგრადობისთვის მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური კადრების, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის არსებობა. საანგარიშო პერიოდში სამსახური განაგრძობდა შესაბამისი ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელებას.

ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საკადრო პოლიტიკის პრიორიტეტებს შორის მნიშვნელოვანია როგორც მაღალკვალიფიციური, გამოცდილი, პროფესიონალიზმით გამორჩეული კადრების მაქსიმალურად შენარჩუნება, ასევე მაღალი ღირებულებების, სტანდარტებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე საუკეთესო კადრების მოძიება და მოზიდვა.

მაღალკვალიფიციური და გამოცდილი კადრების შენარჩუნების მიზნით, 2023 წლის განმავლობაში გრძელდებოდა მოსამსახურეთა წახალისება, მოტივირება, კარიერული წინსვლის შესაძლებლობების შექმნა და განვითარება. საანგარიშო პერიოდში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან სხვადასხვა ფორმით წახალისებულ იქნა 330-მდე მოსამსახურე.

პროფესიონალი კადრების უნარებისა და პოტენციალის მაქსიმალური რეალიზების მიზნით, სამსახურის მიერ ხორციელდება თანამშრომლებისთვის უწყვეტი პროფესიული განათლების პროგრამების შემუშავება და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მათი პერიოდული გადამზადება, მათ შორის, პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერით.

2023 წელს სახელმწიფო უსაფრთხიების სამსახურის 300-მდე მოსამსახურე/კანდიდატმა გაიარა სამსახურის სასწავლო ცენტრსა და სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტში დანერგილი გადამზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა, უსაფრთხოების სხვადასხვა სფეროს მიმართულებით, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პირადი შემადგენლობის მომზადება-გადამზადებას სპეციალურ დისციპლინებში, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სწავლებისა და ტაქტიკური მომზადების თვალსაზრისით.

სამსახური, ასევე, უზრუნველყოფდა თანამშრომელთა უცხო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებას. ამ მიზნით, საანგარიშო პერიოდში უწყვეტად მიმდინარეობდა ზოგადი და პროფესიული ინგლისური ენის შემსწავლელი ინტენსიური კურსები, რომლებშიც ინტეგრირებული იყო ნატოს STANAG 6001 სტანდარტების შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები. აღნიშნული სტანდარტის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში ასზე მეტი კანდიდატის ენობრივი კომპეტენციები შეფასდა.

სამსახურის მხრიდან მოსამსახურეები უზრუნველყოფილნი არიან შრომის თანაბარი პირობებით და სარგებლობენ სათანადო სოციალური პაკეტით.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ახალი და პერსპექტიული კადრების შერჩევა და მომზადება.

ამ მიზნით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მისაღებად მოსამსახურეთა შერჩევის, შეფასებისა და მომზადების მიზნით დანერგილია სპეციალური პროფესიული განათლების თანამედროვე სისტემა, რომელიც არსებით თანხვედრაშია ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასთან. ასევე, დანერგილი და აპრობირებულია შეფასებისა და ტესტირების თანამედროვე მეთოდები, რაც უზრუნველყოფს სამსახურში მისაღებ კანდიდატთა კომპეტენციების შესაბამისობის განსაზღვრას კონკრეტული პოზიციით (საშტატო ერთეულით) გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მიმართებით.

ხაზგასასმელია, ასევე, სამსახურის თანამშრომლობა სხვა უწყებების სასწავლო/ტრენინგ ცენტრებთან, სადაც საანგარიშო პერიოდში იგზავნებოდნენ სამსახურის თანამშრომლები ქვეყნის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ორგანიზებულ სასწავლო კურსებში მონაწილეობის მისაღებად. ამავე დროს, 2023 წელს მაღალი იყო სამსახურის მოსამსახურეთა ჩართულობა საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით გამართულ სასწავლო კურსებსა და გადამზადების პროგრამებში.

სასწავლო ცენტრი

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრი ახორციელებდა სამსახურის დანაყოფებისათვის არსებული კადრების გადამზადებას მათი კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით. გარდა ამისა,

განგრძობადი პროფესიული განათლების ფარგლებში, თანამშრომლებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაევლოთ სხვადასხვა სპეციალიზებული სასწავლო კურსი.

სასწავლო ცენტრი პერიოდულად ახდენდა საორიენტაციო სასწავლო პროგრამების ორგანიზებას სამსახურში მისაღები კანდიდატებისა და ახალდანიშნული თანამშრომლებისთვის საბაზო პროფესიული უნარების განვითარების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრში განხორციელდა ათეულობით სპეციალური სასწავლო პროგრამა, რომელთა ფარგლებშიც შესაბამისი მომზადება გაიარა უწყების ასობით მოსამსახურემ და სამსახურში მისაღებმა კანდიდატმა. სასწავლო პროგრამები მოიცავდა კონტრსადაზვერვო, კონტრტერორისტულ, ანტიკორუფციულ და სამსახურის კომპეტენციაში შემავალ სხვა მნიშვნელოვან მიმართულებებს.

2023 წელს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად, ასევე საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს, საქართველოს იუსტიციისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების მხარდაჭერით, ორჯერ განხორციელდა „უსაფრთხოების სკოლის“ პროექტი. პროექტის მონაწილეებს 2 კვირის განმავლობაში უშუალო კომუნიკაცია ჰქონდათ უსაფრთხოების სფეროს წარმომადგენლებსა და წამყვან ექსპერტებთან, რომელთაგან უშუალოდ იღებდნენ ინფორმაციას ეროვნული, რეგიონული და გლობალური საფრთხეების შესახებ.

ამასთან, საქართველოს ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტთან სამსახურის სასწავლო ცენტრის პარტნიორობით შემუშავდა და დაინერგა ,,საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამა''. მისი მიზანია მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი პროფესიული რესურსის მომზადება, რომელსაც საფუძვლიანი აკადემიური განათლება ექნება ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში. საანგარიშო პერიოდში აღნიშნულ პროგრამაზე ჩაირიცხა და სწავლას აგრძელებს 30-მდე სტუდენტი.

მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები

სამსახურის სრულყოფილი ფუნქციონირებისა და ინსტიტუციური მდგრადობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები განაგრძობდნენ სხვადასხვა დანაყოფის სათანადო ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფას.

2023 წლის საბიუჯეტო სახსრებით უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ გაფორმდა 367 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 27 467 384,08 ლარი.

2023 წლის საბიუჯეტო სახსრებით გამოცხადებულ იქნა 169 ტენდერი, ჩატარებული ტენდერებიდან ხელშეკრულება გაფორმდა 143 პრეტენდენტთან. ელექტრონული ტენდერებით გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, ეკონომიამ შეადგინა 133 959,00 ლარი.